სანადელო მიწები. სად არიან დამნაშავენი. მიტინგი. პოლიტიკური მიმოხილვა. [illegible]
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 199
კვირა, 6 ნოემბერი

1877—1905

№ 199
კვირა, 6 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაბეჭდვი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები იბეჭდება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.
ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.
ტელეფონი № 922.

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე ტურიაშვილი აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებასა საყვარლის ძმისა თვისისა სტუდენტის

ალექსანდრესას

და სთხოვს მობრძანდნენ მის გვამის გამოსვენებაზე დასასწრებლად კვირას, 6 ნოემბერს, დეკანოზის ტურიაშვილის ბინაზე (წმ. მარინეს ეკლესიის გალავანში). მიცვალებული დაკრძალულ იქმნება კუკიის სასაფლაოზე. 1—1

მიხეილ იოსების ძე და ნატალია იოსების ასული ბიბილაურები ძმებით სიდონია და ოლღა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგვას ძვირფას და საყვარელ ძმისას და მაზლისას იურევის უნივერსიტეტის სტუდენტის

ალექსანდრე იოსების ძის ბიბილაურისას,

რომელიც ტრაგიკულად მოკლულ იქმნა პეტერბურგში 18 ოქტომბერს, და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 6 ნოემბერს, 9½ საათზე, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

სამშაბათს, 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

თავ. თეიმურაზ (ივიკე ევგენი) ივანეს ძის ამილახვრის

სულის მოსახსენებლად, რისაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს განსვენებულის ქვრივი და შვილები. 1—1

იაფ ფასიანი ქართული წარმოდგენა ავლაბრის თეატრში

კვირას, 6 ნოემბერს, 1905 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

ორი ობოლი

დრამა 5 მოქმ. თხზ. დრიესი, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია ცაგარლისა, დ. ივანიძე, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე, ს. თერგელი. ბ-ნნი: შ. დადიანი, სვიმონიძე, ზ. საფაროვი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ჯაყელი, მუმლაძე, ციციშვილი, სტეფანოვი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი 10 კ-დან 1 მ 20 კ-დე.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კვირას, 6 ნოემბერს,
დილის 10 საათზე, ნაძალადევში
დანიშნულია

სახალხო მიტინგი

შესახებ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა.

თფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

ქართველ სოციალისტ ფედერალისტთა პარტია, სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკციუტუნი“ და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია აცხადებენ, რომ დღეს, 6 ნოემბერს, დილის 11 საათზე დიდუბეში მოხდება

სახალხო მიტინგი

პოლონეთის მდგომარეობისა და მიმდინარე საქმეების შესახებ.

ამა ნოემბრის 19-ს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქუჩა)

დანიშნულია არა ჩვეულებრივი

საგუბერნიო კრება

გუბერნიის თავად-აზნაურთა,

რისაც აუწყებს მათ გუბერნიის მარშალი და სთხოვს მობრძანდნენ ამ კრებაზე დასასწრებლად.
(3—1)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავოტი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ჟ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაზანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. ბ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

ვ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტუეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, გვარეის სახლის № 157

გაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გაროზის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

სანადელო მიწები

მესამოცე წლებში რუსეთში გაანთავისუფლეს გლეხობა ბატონ-ყმობისაგან, მაგრამ, როგორც მკითხველმა იცის, ეს „განთავისუფლება“ მოხდა უმიწოდ და უმამულოდ. ჯერ ერთი, განთავისუფლების შემდეგ გლეხებს ბევრად იმაზე ნაკლები მიწა მიუზომეს ნადელებად, რაც მათ ეჭირათ ბატონ-ყმობის გადავარდნამდის, და მეორეც—კანონმდებლობამ განთავისუფლებული გლეხები არ გახადა მესაკუთრეებად, არამედ ისინი თითქმის სამუდამო მოიჯარადრეთა მდგომარეობაში ჩააყენა და მემამულეთა მეხარკეად დასტოვა. მიწის მესაკუთრედ დარჩა ისევ წინანდელი ბატონი, რომელიც მხოლოდ მაშინ ჩამოშორდებოდა გლეხს, როცა ეს უკანასკნელი მიწის ფასს გადიხდიდა და ნადელს საკუთრებად შეიძენდა.

გავიდა წლები და —გლეხობა თავისით ვერ განთავისუფლდა სამამულო დამოკიდებულებისგან,—მან თავის სახსრით ვერ შეისყიდა სანადელო მიწები და მესაკუთრედ ვერ გახდა. მაშინ მთავრობამ მოახდინა „რეფორმა“,—გლეხებს „დაეხმარა“, სესხი მისცა, მემამულეებს ნადელების ფასი გადაუხადა, ეს სესხი გლეხებს ვალად დააწერა და ამგვარად ისინი მიწის მესაკუთრეებად გახადა. მთავრობა ქვეყანას არწმუნებდა, რომ მან დიდი რეფორმა მოიმოქმედა, გლეხობისთვის მეტად სასარგებლო საქმე შეასრულა და რომ ამ რეფორმის შემდეგ გლეხთა კეთილდღეობა დიდის სისწრაფით წინ წავიდოდა.

მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ მალე ცხადზე უცხადესად გამოაშკარავა, რომ ასეთი იმედები ყალბი იყო და ნამდვილ ვითარებას არ შეეფერებოდა. გლეხობამ ვერ შესძლო იმ ვალის გასწორება, რომელიც მას მთავრობამ დააწერა ნადელების ფასის გასასტუმრებლად. მთელი წლების განმავლობაში ნადელის გამოსყიდვის გადასახადები გლეხებს ნედოიმკებად ეწერებოდა; პოლიცია არ გადამხდელ გლეხობას ოჯახებს უწიოკებდა, გადასახადში სახლის ავეჯეულობასა და სამუშაო საქონელს უყიდდა, მაგრამ მთავრობამ ვერ მოახერხა და ვერა გაწერილ ვალის აღება. სესხის მიცემის დროს ნადელები ძალიან დიდ ფასში შეაფასეს, მემამულეებსაც ამგვარ აწეულ შეფასების კვალობაზე გადაუხადეს ნადელების ფასი და უნდოდათ შემდეგ ყველა ეს გლეხების კისრიდან აეღოთ.

მაგრამ გლეხმა კისერი ძირს დასწია, ტვირთს ვერ გაუძლო და მთავრობას პირდაპირ განუცხადა: ნადელიც წაიღე, თავიდან მომაშორე და გამოსყიდვის ვალისაგანაც გამანთავისუფლეო. მაგრამ დღემდის მთავრობა ამ განცხადებას დიდ ყურადღებას არ აქცევდა და მოელოდა, რომ გლეხობას როგორმე გაასწორებინებდა გადასახადს. მაგრამ უკანასკნელ წლებში გლეხთა მეურნეობა სრულიად დაეცა და მისი შემოსავალი გლეხს არა თუ ვალის გასასწორებლად,—თავის შესანახადაც კი არ ჰყოფნიდა. ამ გაჭირვების გამო დაიწყო მთელს რუსეთში საშინელი სტიქიური აგრარული მოძრაობა, რომელმაც არა ერთისა და ორის მემამულის კერძო მეურნეობა იმსხვერპლა. გლეხებმა მიჰყვეს ხელი მემამულეთა სახლ-კარის აკლებას და გახშირდა აგრარული არეულობა. მთავრობას მეტი გზა არ ჰქონდა,—რამე უნდა ეღონა გლეხთა დასაწყნარებლად. ჯერ სცადეს ეგზეკუცია და სამხედრო წესები, მაგრამ ამით არა გამოვიდა რა. ახლა კი ამას დაურთეს ერთი პატარა რეფორმაც, რომელიც დღევანდელ დეპეშებშია გამოცხადებული. ეს რეფორმა ნადელების გამოსყიდვის ვალის გადახდას შეეხება. ხელმწიფე თავის მანიფესტში აცხადებს, რომ 1906 წლის განმავლობაში ხაზინამ მხოლოდ ნახევარი უნდა აიღოს შემოსატან ვალისა, ხოლო 1907 წლის 1 იანვრიდან ეს ვალი სრულიად უნდა გაუქმდეს და გლეხობა განთავისუფლდეს მის გადახდისაგან.

ამგვარად, ნადელების გამოსყიდვის ვალის გასწორებას ერთის წლის შემდეგ სახელმწიფო ხაზინა კისრულობს.

სამწუხაროდ, ეს მანიფესტი ცოტათი ეხება ჩვენს გლეხობას. ჩვენში არ ყოფილა დაწესებული სავალდებულო გამოსყიდვა ნადელებისა და გლეხების ძალიან მცირე ნაწილმა ისარგებლა სახელმწიფო სესხით ნადელების შესაძენად. ტფილისის გუბერნიაში დროებით ვალდებულთა კატეგორიის გლეხების უმრავლესობა დღესაც გაუნთავისუფლებელია და თავისი ნადელები საკუთრებად არ უჭირავს. გარდა ამისა, სახელმწიფო გლეხებიც სამუდამო მოიჯარადრეებად ითვლებიან და მიწაში სახელმწიფო იჯარას იხდიან. რუსეთში, ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დაწესების დროს, ხაზინიდან სესხი მისცეს სახელმწიფო გლეხებსაც და, დროებით ვალდებულ გლეხებსავით, ისინიც მესაკუთრეებად გახადეს. დღეს, მანიფესტის ძალით, ამ კატეგორიის გლეხებიც თავისუფალნი არიან იქ ნადელების გამოსყიდვის ვალისაგან. ჩვენში კი ასეთი სავალდებულო გამოსყიდვა, როგორც ვთქვით, არ ყოფილა დაწესებული და ამიტომ სახელმწიფო გლეხები დღესაც სახაზინო მიწების მოიჯარადრეებად ითვლებიან და საიჯარო გადასახადს იხდიან.

მთავრობამ ჩვენშიაც სცადა, დროებით ვალდებულ გლეხებისთვის ხაზინიდან სესხი მიეცა და ისინი ნადელების მესაკუთრეებად გაეხადნა; კავკასიის უმაღლეს მთავრობასაც ორიოდე თვის წინად ჰქონდა ამ საგანზე თათბირი გამართული. თათბირის მთავარი აზრი ის იყო, რომ ნადელები შეეფასებინათ, ამ შეფასების კვალობაზე მემამულეებისთვის მიწის ფასი მიეცათ და ეს ფული შემდეგ ნაწილ-ნაწილად გლეხებისთვის გადაეხდევინებიათ.

რუსეთის მაგალითმა ცხადად დაანახვა ყველას, რომ ასეთი წესი გლეხთა ეკონომიურ „განთავისუფლებისა“ არაფერს სასიკეთოსა და სასარგებლოს არ წარმოადგენს გლეხობისათვის. ამიტომაც მთავრობა იძულებული გახდა, რომ მოესპო ნადელების გამოსყიდვის გადასახადი. ცხადია ამიტომ, რომ, ახლანდელ მანიფესტის შემდეგ, იმავე გზას ვეღარ უნდა დაადგეს მთავრობა ჩვენი გლეხობის შესახებ. რუსეთის გლეხობას ვალის გადაუხდელად ეძლევა ის ნადელები, რომელიც მას უჭირავს. ასევე ყოველგვარ ვალის დაუკისრებლად უნდა მიეცეს საკუთრებად ჩვენშიაც სახელმწიფო და დროებით ვალდებულ გლეხებს ის სანადელო მიწები, რომლებიც მათ დღეს აქვთ დასამუშავებლად. მემამულეების გასტუმრება ჩვენშიაც იმავე ხაზინამ უნდა იკისროს, რომელმაც იკისრა რუს მემამულეების გასტუმრება, და გლეხები ისევე თავისუფალნი უნდა იყვნენ სანადელო ფასის გადახდისაგან, როგორადაც, მანიფესტის ძალით, თავისუფლდება დღეს რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობა.

ეს არის მანიფესტის ლოღიკური დასკვნა, რომელიც უნდა შეეხოს ჩვენს გლეხობას. შეასრულებს კი ამას მთავრობა? არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ყველა პროგრესიულ ელემენტებმა ენერგიულად უნდა მოითხოვონ მისი აღსრულება და გლეხებს გაუადვილონ ნადელების საკუთრებად მოპოვება.

◆

სად არიან დამნაშავენი

დამნაშავეთა დაუსჯელად ჩაიარა 22 ოქტომბერს ტფილისის ქუჩებში მომხდარმა საზარელმა სისხლის ღვრამ, როდესაც გამხეცებული ჯარის კაცები, საზოგადოების ხაძირალებთან ერთად, ქუჩებში მშვიდობიანად მოსეირნე ხალხს დაერივნენ, როდესაც სულ უმიზეზოდ დახოცეს ისინი, ვინც შემთხვევით იმ დროს ქუჩებში დაიარებოდა, როდესაც რამოდენიმე საუკეთესო შენობა გაანადგურეს, გაძარცვეს ცოცხლები და მკვდრებსაც ტანზე სამკაული ააცალეს...

დამნაშავეთა დაუსჯელად... დამნაშავედ საზოგადოება ძველი რეჟიმის მომხრეთ ასახელებს, იმათ, ვინც დღესაც მთავრობის სახელით მოქმედობს და ვისაც უფლება არა აქვს ჩამოართმეული, შემდეგშიაც ასეთივე სისხლის ღვრა გამოიწვიოს.

საზოგადოების აზრით, ეს შეტაკება და სისხლის ღვრა განზრახ იყო გამოწვეული. საზოგადოება მტკიცეთ არის დარწმუნებული, რომ ზოგიერთი ამ ქვეყნისა ძლიერნიც ამ ბოროტმოქმედებაში დამნაშავენი არიან.:.

აკი ადგილობრივ მიხეილის საავადმყოფოში ორი დღით ადრე იყო მიღებული ბრძანება, დახოცილთა და დაჭრილთათვის თავისუფალი ადგილი იქონიეთო,—აკი ხაძირალთ დარბევის დროს ხელში კარების ჩასამტვრევი რკინის იარაღი აღმოაჩნდათ, რომელიც მათ ქუჩაში სიარულის დროს ხელში არა ჰქონიათ...

დამნაშავეთა დაუსჯელად... ან სად არიან ეს დამნაშავენი,—ნუ თუ ისევე ძველი რეჟიმის მომხრე გამომძიებელ პროკურორები უნდა შეუდგნენ ამ საქმის გარკვევას?!.

ძველი რეჟიმის მომხრენი ხმას ავრცელებენ, ეს სისხლის ღვრა ხალხისაგან არისო გამოწვეული და აცხადებენ: ჯარის-კაცებს არავითარი ბოროტ-მოქმედება არა აქვთ ჩადენილიო.

ამ ჯარის წინააღმდეგ ამხედრდა თვით აფიცრების ერთი ნაწილი. ტფილისის პოლკის აფიცრობამ გადასწყვიტა საქმე გამოარკვიოს და აღადგინოს სიმართლე. ისინი ამ საქმეში საზოგადოებისგან დახმარებას ელიან, იწვევენ იმათ, ვისაც შეუძლიან დახმარება აღმოუჩინონ სიმართლის გამორკვევაში.

22 ოქტომბერს გაძარცულებო, 22 ოქტომბერს დაჭრილებო, 22 ოქტომბერს ჯარებისაგან და ხულიგანებისაგან დარბეულებო,—22 ოქტომბრის საზარელ ამბების მნახველებო,—სიმართლის გამორკვევას ხელი უნდა შეუწყოთ და თქვენი ვინაობა და ადრესი ჩვენს რედაქციას შეატყობინოთ. ამას მოქალაქობრივი გამბედაობა მოითხოვს. სიმართლეს გამორკვევა უნდა, დამნაშავენი დაუსჯელად ვერ დარჩებიან.

მოქალაქე.

მიტინგი

მიტინგი *),—მოქალაქეთა ყრილობა პოლიტიკურის მიზნით,—თანა სდევს პოლიტიკურ თავისუფლებას. თვით ამ უკანასკნელის ქვეყნად მოვლენას,—როგორც ეს დავინახეთ წარსულ კვირებში,—მიტინგები ამცნობენ ხოლმე განთავისუფლებულ ხალხს. დესპოტიურ, თვითმპყრობელ სახელმწიფოში მცხოვრებლები რომ შეიკრიბნენ პოლიტიკურის მიზნით, იმათ მთავრობა მიუცილებლად გაჰფანტავს მათრახებითა და ხიშტებით. ასეთ სახელმწიფოში მცხოვრებლებს რომ კიდეც ჰქონდეთ პოლიტიკურ ყრილობების უფლება, იმათ ყრილობებს არავითარი რეალური საფუძველი არ ექნებოდა ცხოვრებაში, რადგან მონებს არ მოეპოვებათ პოლიტიკური ცხოვრება, ისინი გარიყულნი, განდევნილნი არიან სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობიდან.

ასეთ სახელმწიფოში ხალხზე და ხალხისათვის ზრუნავს, ფიქრობს, აზროვნობს, მოქმედობს მთავრობა; მთავრობა გაუსჯელად და განუკითხავად სწყვეტავს მცხოვრებთა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს.

უწინ, როცა ქვეყანამ ჯერ კიდევ არ იცოდა მონობა და ბატონყმობა და თავისუფალი ხალხი თვითვე განაგებდა ყოველგვარ საზოგადო საქმეებს, ხშირად იმართებოდა ხოლმე სახალხო ყრილობანი, მაგრამ ეს ყრილობანი თავის ხასიათითა და დანიშნულებით ძალიან განსხვავდებიან ეხლანდელი მიტინგებისაგან. მაშინ ხალხი ყრილობაზე კიდეც კანონმდებლობდა, კიდეც მოსამართლეობდა და კიდეც ასრულებდა თავისს დადგენილებათ. შემდეგშიაც, როცა გაჩნდა გაბატონებული, დამჩაგვრელი და დამონებულ-დაჩაგრული კლასები,—ვიდრე დამთავრდებოდა დესპოტიურ სახელმწიფოს განვითარება,—კიდევ იმართებოდა ხოლმე სახალხო ყრილობანი, მაგრამ რაც დრო მიდიოდა,—იმდენი უფრო და უფრო იშვიათად და ყოველთვის ვიწროდ შემოფარგლულ საკითხებისათვის. ასე რომ, მიტინგი, ამ სიტყვის დღევანდელ მნიშვნელობით, წარმოშვა თანამედროვე პარლამენტარულ წესწყობილებამ.

დღეს ხალხი მოწოდებულია, წარმომადგენელთა საშუალებით თვითვე მართავდეს და განაგებდეს თავის ცხოვრებას, თვითვე აწარმოებდეს ყველა თავისს საზოგადო, საქვეყნო საქმეებს. ხალხის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა კრებული, საკანონმდებლო დაწესებულება, პარლამენტი—არის დიდი მანქანა, რომელიც ატრიალებს მთელ სახელმწიფო ცხოვრებას. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, ვითომ ხალხის წარმომადგენელნი, დეპუტატები ხალხის მაგიერ და ხალხისათვის ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ, ვითომ წარმომადგენელთა არჩევით თავდებოდეს ხალხის როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. სრულებით არა. ასე რომ ყოფილიყო, ხალხი რომ მხოლოდ ირჩევდეს დეპუტატებს და შემდეგ ეძლეოდეს ტკბილ ძილს, მაშინ იოტის ოდენაც არ იქნებოდა განხორციელებული ხალხის სუვერენიტეტი (ბატონობა): მაშინ პარლამენტი გადაიქცეოდა ახალ ფორმებში გამოხვეულ თვითმპყრობელობად, ხალხის დამჩაგვრელ დაწესებულებად. აი, ამიტომ ყოველ, ცოტად თუ ბევრად, დემოკრატიულ კონსტიტუციაში შეტანილია ხოლმე განსაზღვრული ზომები, გარანტიები, რათა ხალხისათვის უზრუნველ-ყოფილ იქმნას ნამდვილი, ჭეშმარიტი მეთვალ-ყურეობა, კონტროლი საკანონმდებლო დაწესებულებაზე. ხალხი ყოველ ნაბიჯზე ფხიზლად უნდა სდარაჯობდეს თავის დეპუტატების მოქმედებას, ამასთანავე ხალხი თვითონვე უნდა აძლევდეს იმათ სამოქმედო პროგრამებს. ყოველთვის, როცა კი პარლამენტში აღძრულია დიდად მნიშვნელოვანი, საქვეყნო კითხვა, ხალხის ტალღები ძლიერად უნდა ასკდებოდეს პარლამენტის კედლებს და იქ შეჰქონდეს ხალხის სიცოცხლე, სულთა-სწრაფვა, იდეალები.

ამგვარად, პარლამენტია ის მანქანა, რომელიც ატრიალებს მთელ სახელმწიფო ცხოვრებას, მაგრამ მისი მოტორი, მამოძრავებელი ძალა კი თვითონ ხალხია. ხალხი აძლევს პოლიტიკას შინაარსსა და მიმართულებას, ხალხი სჭედავს თავის პოლიტიკურ ცხოვრებას, ხალხი ჰქმნის თავისს სვე-ბედს, ისტორიას. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მიტინგს. მიტინგებზე ცხადად სჩანს ხალხის მაჯის ცემა, საქვეყნოდ გამოტანილია ხალხის სულთა სწრაფვა. ამიტომ დეპუტატები ფხიზლად ადევნებენ თვალ-ყურს მიტინგებზე ნალაპარაკევს და მიღებულ რეზოლუციებს. მათი გული-გონება,—თუ ისინი მართლა ნამდვილი წარმომადგენლები არიან ხალხისა,—ყოველთვის მიჯაჭვულია სახალხო მიტინგებზე. სახალხო პოლიტიკური ყრილობანი, პრესსასთან ერთად, უმთავრესი და უახლობლესი შემქმნელია საზოგადოებრივ აზრისა. პარლამენტი კი ამ აზრის მხოლოდ ფორმების, გამოხატულების განხორციელების მომცემი არის.

მიტინგების მნიშვნელობა არა ნაკლებია გარდამავალ ხანაში, როცა ძველის რეჟიმის საფუძველნი დაინგრა და ახალი კი ჯერ არ დამყარებულა. ასეთ დროს სახალხო მიტინგებმა უნდა გვაუწყოს, როგორ, რა საშუალებით უნდა მოვიცილოთ თავიდან ძველის რეჟიმის ნანგრევები, როგორ, რა გზით უნდა გავწმინდოთ ნიადაგი პოლიტიკურ მოქმედებისთვის; რა პრინციპები, რა დედა-აზრები უნდა ჩავაქსოვოთ ახალ პო-

---

*) სიტყვა „მიტინგი“ ინგლისურია, ჰნიშნავს ხალხის ყოველგვარ შეკრებილებას, სადაც საგანგებოდ არავინაა მიწვეულ-მიპატიჟებული და სადაც ყველას თავისუფლად შეუძლიან ლაპარაკი. უმეტეს ნაწილად კი ამ სიტყვით აღნიშნავენ ხალხის პოლიტიკურ ყრილობას. **ვლ. დ.**

ეროვნული

ლიტიკურ ორგანიზაციას; როგორი უნდა იყოს უმთავრესი მოხაზულებანი ამ ორგანიზაციისა. აი, დიადი დანიშნულება დღევანდელ მიტინგებისა.

ჩვენმა ხალხმა უკვე დაგვანახვა და მომავალშიც უეჭველად დაგვიმტკიცებს, რომ მას სცოდნია უფლებებისათვის ბრძოლა და მასვე სცოდნია ამ უფლებათა მოხმარებაც. ხალხი ჯერ კიდევ ყოველ წუთს ელის პოლიციის, კაზაკების თავდასხმას, მაგრამ იგი მაინც მედგრად, უშიშრად ანხორციელებს სიტყვის, კრებების თავისუფლებას. თავისუფლების პირველმავე სხივმა თან მოგვიტანა დიადი სახალხო მიტინგები და მანიფესტაციები. ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხიდან ხალხის გამოღვიძების, ახალ სიცოცხლის მეტად სანუგეშო ამბები მოგვდის. ასე, მაგ. ჩვენის ქვეყნის—შედარებით ისეთ დაქვეითებულ და კულტურულად უკან ჩამორჩენილ კუთხიდან, როგორიც არის ქიზიყი, ერთი ნაცნობი მწერს: „ჩვენ მამაპაპურ ქიზიყს ეხლა ვეღარ იცნობ... 17 ოქტომბერს შემდეგ დიდი მიტინგები და მანიფესტაციები იმართება ხოლმე, როგორც სიღნაღში, ისე მივარდნილ სოფლებშიაც. ხშირად ერთ სოფლიდან მანიფესტაცია მიემართება შორეულ სოფლებისაკენ და გზადაგზა მიტინგები იმართება. ასე, გუშინ წინ, დილით, 30 ოქტომბერს, დიდი სახალხო მიტინგი გაიმართა ს. ქვემო-მაჩხაანში. იქიდან დიდძალი ხალხი გაემართა ანაგა-კარდენახისაკენ. დიადი პროცესია, წითელ დროშებითა და რევოლუციონურ სიმღერებით საარაკო აღფრთოვანებასა ჰფენდა მიდამოს. ყოველ სოფელში შესვლის უმალ ჰმართავდნენ მიტინგებს და შემდეგ ისევ განაგრძობდნენ გზას ახალ მანიფესტანტების შემოერთებით. საღამო ჟამს პროცესიამ მოაღწია ანაგას, სადაც დასაბოლოებელი მიტინგი გაიმართა. ხალხი ისე მოწყურებულია ამ არა ჩვეულებრივ სანახაობას, საჭირბოროტო, საქვეყნო კითხვებზე თავისუფლად სჯა-ბაასს, თათბირს; ხალხი ისეთის მოკრძალებით და სასოებით ისმენს ჭეშმარიტება-სამართლიანობით აღტყინებულ სიტყვებს ორატორებისას... ოჰ, ნეტავი გაჩვენა ეს დიდებული სანახაობა, მაგრამ გაზეთებიდან ვიცი, რომ ტფილისშიაც, ისე, როგორც კავკასიის ყველა კუთხეებში, ყველგან ხალხი იჩენს თავისს სიდიადეს... დარწმუნებული ვარ, ქიზიყში კანონად გადაგვექცევა ყოველ კვირა უქმე დღეს მიტინგების გამართვა, თუ კი ისე, როგორც გურიაში, ჯარებს არ ჩაგვიყენებენ და კაზაკებსა და დრაგუნებს არ დაგვახვევენ. თქმა არ უნდა, არც ჩვენ აგვცდება გურულების დღე. მახლას! მაგრამ „შიში არ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დადრეკილობა". ქიზიყს არც სალდათი მიუცია და არც „ფოსტის ფული" (სახელმწიფო გადასახადები) გაუწერნიათ. გასაოცარის სიმტკიცით დგანან უარზე. ქიზიყი მზად არის იარაღი აისხას, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს თავისუფლებისათვის"!

ეს ყველაფერი ვის არ შთაბერავს ძალას, მხნეობას და განუდრეკელ ენერგიას? ვის არ აუნთებს ღვთიურსა ცეცხლსა, რომ გატაცებით, თავ-დავიწყებით, მთელის არსებით გადაერიოს საკაცობრიო ბრძოლის ტალღებში?

—

ცის ქვეშ, გაშლილ ჰაერზე გამართულ მიტინგების უპირატესობაა, რომ არ გჭირია სადგომის შოვნასა და იმის ქირაზე ზრუნვა და არც მსმენელთა რიცხვია ვიწროდ შემოფარგლული. მარა ასეთი მიტინგები ფიზიკურის მიზეზებით ყოველთვის არ არის მოსახერხებელი. ამიტომ მუშათა ორგანიზაციები უკვე თადარიგში არიან შეიძინონ სახალხო სახლები და მიტინგების შესაფერი დარბაზები.

თქმა არ უნდა კი, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის კავკასია, მადლიანი ბუნება შესანიშნავად ხელს უწყობს გაშლილ ჰაერზე მიტინგების გამართვას. სულის ამამაღლებელი, საიდუმლოებით ცისკენ ამართული ბუმბერაზი ჩვენი მთები, საამურად აზიდულ-ჩაზიდული მინდორ-ველები, ამფითეატრულად დაქნილი სერები, ბორცვები და ზემოდანაც სპეტაკი ლაჟვარდოვანი ცისა კამარა, ბრწყინვალე სხივთა უხვად მფენელი დიდი ლამპარი, ეს დიდებული, ხელთუქმნელი დარბაზი არის სახალხო მიტინგებისთვის.

მალე კავკასია იქნება მიტინგების ქვეყანა.

ვლ. დარჩიაშვილი.

შეიარაღებული „მშვიდობიანობა“

ხალხის პირველ გამარჯვებას და აბსოლუტიზმის დანგრევას თან დაჰყვა ორი მოვლენა. მოქალაქეთა მებრძოლი ნაწილი ხედავს, რომ, რაც მოიპოვა, ეს მეტად მცირეა, რომ ბრძოლა მხოლოდ იწყება ნამდვილ დემოკრატიულ წყობილების დასამყარებლად. ამიტომაც მანიფესტის განცხადების წუთიდანვე იწყება დიადი სახალხო მოძრაობა, მალულ მოქმედების მაგიერ მებრძოლი ელემენტები აშკარად გამოდიან პოლიტიკურ ასპარეზზე და იწვევენ ხალხს ახალ ცხოვრებისათვის.

ეს განმაახლებელი ტალღა, ეს დემოკრატიული მიმდინარეობა ისეთის სიძლიერით გამოჩნდა, რომ მოსალოდნელი იყო დაუყოვნებლივ სახალხო მთავრობის დაწესება. რუსეთის ცენტრებში პეტერბურგსა და მოსკოვში დემოკრატია კიდეც შეეცადა პირდაპირ გამოეცხადებინა დროებითი მთავრობა და შესდგომოდა თავის პროგრამის განხორციელებას. მთავრობა უცებ შედრკა. მან დაინახა, რომ მთელის დაუყოვნებლივი წალეკვა; მან იგრძნო მებრძოლ ელემენტების ძლიერება და კიდეც შეუდგა შესაფერ ზომების მიღებას. მთავრობა გაფაციცებით ეძებს ხალხში იმ ელემენტებს, რომელნიც მას მიემხრობიან და მხარს დაუჭერენ; ის მიმართავს „მშვიდობიანობის მომხრეთა გონიერებას", იწოდებს მათ თანამშრომლობისათვის, მარა—ამაოდ. მან ვერ ჰპოვა ხალხში ისეთი ელემენტები, რომელნიც საკმაოდ ძლიერნი იყვნენ და კიდეც შეეძლოთ მთავრობისთვის ზურგის გამაგრება. მაშინ მთავრობამ სხვა ხერხს იხმარა. მის ხელში იყო ჯარი და პოლიცია. ძველ რეჟიმში გაწრთვნილი ჯარი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს თავის მონობას და იმ საზიზღარ როლს, რომელიც მას ატვირთეს „შინაურ მტერთა" დამშვიდებაში. ამიტომაც ის უმეტეს შემთხვევაში დაუფიქრებლად ხდება თავის მოძმეების, მისივე თავისუფლებისათვის მებრძოლთა გაჟლეტისა და დარბევის იარაღად. პოლიციაც, რაღა თქმა უნდა, მზადაა ებრძოლოს ყოველ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რადგან ის აღზრდით და ხანგრძლივის წარსულით ამ როლისათვის ემზადებოდა და გარდა ამისა კარგადა გრძნობს, რომ მთელი მოქალაქობრივი წყობილება მას ჩამოართმევს იმ უპირატეს მდგომარეობას, რომელიც წინედ ეჭირა, როცა ყოველი მეეზოვე და ქუჩის მცველი პატარა, განუსაზღვრელი ბატონი იყო ხალხისა.

ამ ორის ძალით, ცხადია, მთავრობას შეეძლო ესარგებლნა. მხოლოდ ეს იმის მომასწავებელი იქმნებოდა, რომ მთავრობამ ხალხის წინააღმდეგ იწყო ბრძოლა. მაშ ერთი მხრით იქნებოდა ხალხი, ხოლო მეორე მხრით—მისი მოპირდაპირე—მთავრობა. ასეთი მდგომარეობა „კონსტიტუციონურ" ქვეყანაში კი შეუწყნარებელია და ამიტომაც ის უარყოფილ იქმნა. საჭირო იყო საქმის ისე მოწყობა, რომ თვით ხალხში მომხდარიყო განხეთქილება,—ხალხის ერთი ნაწილი მეორის წინააღმდეგ წასულიყო.

მაგრამ ეს როგორ მოეხერხებინა? ხალხში არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი ჯგუფი, რომელსაც რაიმე გარკვეული პროგრამა ჰქონოდა და იმავე დროს მზად ყოფილიყო განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა დაეწყო. და აი, სწორედ ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა მიემართა საზოგადოების ბნელ და დაცემულ ნაწილისათვის, რომელიც მზადაა ყოველი საზიზღრობა ჩაიდინოს, ოღონდ ცარცვა-გლეჯის უფლება მიეცეს. ბნელი ძალები, ხატებით ხელში, გამოვიდნენ და შეუდგნენ თავიანთ საქმეს. არ დარჩა შიდა-რუსეთში არც ერთი ისეთი ქალაქი, სადაც ხულიგნების, პოლიციის და ჯარის დახმარებით, ხალხი არ აეკლოთ.

პირველად ცდილობდნენ ასეთ დარბევისათვის სხვანაირი ხასიათი მიეცათ. გამოაცხადეს—ეს ებრაელების წინააღმდეგი მოძრაობა არისო. მაგრამ აურაცხელმა ფაქტებმა სრულიად უარჰყო ეს ახსნა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ტვერის საგუბერნიო საერობო შენობას ხულიგნებმა წაუკიდეს ცეცხლი, როცა ამ შენობაში ერობის მოსამსახურე პირებმა გამართეს კრება საერთო გაფიცვაში მონაწილეობის გამოსარკვევად. აქ ებრაელებთან არავითარ ბრძოლას ადგილი არ ჰქონია. ხულიგნები, პოლიციის მეთაურობით, ძარცვა-გლეჯისთვის გამოვიდნენ. ამ შემთხვევაში კი სულ ერთია, ვისაც რამე აბადია, ერთნაირად ხდება გამძარცველის მსხვერპლად.

ხულიგანური მოძრაობა მთელ შიდა-რუსეთს და ზოგიერთ სხვა კუთხეებსაც მოედო. მაშინ კი მთავრობამაც ხმა ამოიღო, მან გამოაცხადა—ხალხის ერთი ნაწილი მეორეს წინააღმდეგ ამხედრდა, მოქალაქობრივი ომი იწყება და საქმეში უნდა ჩავერიოთო. ხელად კრების თავისუფლების გამოცხადებას უკან მოჰყვა რეპრესიები. ბევრ ადგილას აკრძალულ იქმნა მიტინგები და მანიფესტაციები. ჰაერში ძველი წყობილების სუნი დადგა.

პირველი საგრძნობელი მაგალითი მთავრობის რეაქციონურ მოქმედებისა გამოიხატა პეტერბურგში. როცა მუშათა ორგანიზაციამ გამოაცხადა: ვმართავთ 18 ოქტომბერს დახოცილთა დასაფლავებას და ვიწვევთ მოქალაქეთ მონაწილეობა მიიღონ ამ სამგლოვიარო პროცესიაშიო, მთავრობამ ამ განცხადებას ხელად თავისი განცხადება მიაყოლა, რომელშიაც აკრძალა საჯაროდ დასაფლავების მოწყობა და მოკლულნიც ღამით, ჩუმად დაასაფლავა. ამასთანავე მთავრობა აცხადებდა, არავითარ ზომას არ დავერიდები ხალხის საწინააღმდეგოდაო. აშკარა იყო, რომ მთავრობა ეწინააღმდეგებოდა მოქალაქის უფლებას—თავის ძმას უკანასკნელი პატივი სცეს და სამარემდე მიაცილოს. აქ ორი ძალა ერთმანეთს დაუპირდაპირდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოცხადდა. ეს მუშებმა კარგად გაითვალისწინეს და, რადგან იმ მომენტისთვის შესაფერი მომზადება არ ჰქონდათ, კიდეც გააუქმეს თავისი წინანდელი გადაწყვეტილება.

ასეთ რყევაშია დღევანდელი რუსეთი. ეს გარემოება ჩვენ მხოლოდ რუსეთის მდგომარეობის ერთ მხარეს გვიხასიათებს. მაშინ, როდესაც ევროპაში განსაზღვრული მოქალაქობრივი თავისუფლება დამკვიდრდა და ხალხის ყველა წრეებისათვის მიღებული და შეთვისებულია, რუსეთში ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს. აქ ვერ ვპოვებთ ისეთ ტრადიციებს, რომელიც ხელს უშლიდეს ბნელ ძალებს, მოქალაქის ელემენტარული უფლებანი შელახოს. ამიტომაც აქ ბრძოლის ტაქტიკაც სხვანაირი უნდა იყოს. მოქალაქეობრივ თავისუფლების სავსებით მოპოვება და დამკვიდრება მოითხოვს ხალხისაგან მუდმივ შეიარაღებულ დარაჯობას.

ჩვეულებრივ სიმშვიდეს უნდა ვუცქიროთ, როგორც ორ ძალთა დროებით ზავს, შეიარაღებულ მშვიდობიანობას.

პ. სურგულაძე.

პოლონეთის პარტიების აზრი პოლონეთის ავტონომიის შესახებ

როგორც ვიცით, პოლონეთში რამდენიმე სოციალისტური პარტია არსებობს: სოციალ-დემოკრატიული პარტია (რუსეთის სოც.-დემ. პარტიის პროგრამით), მეორე სოც.-დემ. პარტია „პროლეტარიატი", მესამე—ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული პარტია „ბუნდი" და პოლონეთის სოციალისტური პარტია. ამ პარტიების გარდა პოლონეთში არსებობს რამდენიმე დემოკრატიული და ბურჟუაზიული პარტიები: „სახალხო-დემოკრატიული", „პროგრესიულ-დემოკრატიული", პარტია „პოლონეთის სახელმწიფოსი" და სხ.

ყველა ზემოხსენებული პარტიები პრინციპიალურად მომხრენი არიან პოლონეთის ავტონომიისა, მაგრამ ყველა პარტიას თავისებურად ესმის ეს ავტონომია და თავისთვის უნდა მისი გამოყენება. „პოლონეთის სოციალისტური პარტია" ძლიერ მომხრე და დამცველია პოლონეთის ავტონომიისა და თხოულობს, რომ პოლონეთის დეპუტატები, საყოველთაო კენჭის ყრით არჩეულნი, პეტერბურგის მაგიერად ვარშავაში შეიკრიბნენ და გახსნან დამფუძნებელი კრება, რომელიც შემდეგ პოლონეთის მუდმივ სეიმად უნდა გადაკეთდეს.

ამ პარტიას არ ეთანხმებიან დანარჩენი სოციალისტური პარტიები. სოციალ-დემოკრატების ორატორები ყოველთვის აცხადებენ, რომ პოლონეთის მუშათა პარტია ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მიდიოდეს რუსეთის მუშა ხალხთან ერთად და ერიდოს ყველაფერს, რასაც რუსეთისა და პოლონეთის მუშათა შორის შუღლის ჩამოგდება შეუძლიან.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ოფიციალური ორგანო, გაზეთი „გლოსი" სწერს: „იმ დრომდის, სანამ მთელ რუსეთში მთავრობა მხოლოდ კაპიტალისტებისა და არისტოკრატების ხელში იქნება და სანამ ეს მთავრობა ხალხის ინტერესების გამომხატველი არ იქნება (ე. ი. სანამ საყოველთაო არჩევნები არ იქნება შემოღებული), მანამდის პოლონეთისა და რუსეთის მუშებმა ერთ დროშის ქვეშ უნდა იბრძოლონ. მაგრამ რათა ყველა ეროვნებამ ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება მიიღოს და თავის საკუთარ კულტურის თანახმად იცხოვროს—სოციალ-დემოკრატების პარტია და მასთან ერთად ებრაელთა სოც. დემ. „ბუნდი" რუსეთში მცხოვრებ ყველა ერთათვის თხოულობენ **ეროვნულ ავტონომიას** და არა ტერიტორიალურს, ამასთან ეს ავტონომია ამა თუ იმ ერონებს კულტურულ ინტერესებს არ უნდა გასცილდეს. სამაგიეროდ პოლიტიკურად და ეკონომიურად მთელი რუსეთის იმპერია უნდა განაგოს ერთმა პარლამენტმა.

დანარჩენი დემოკრატიული და ბურჟუაზიული პარტიებიც თხოულობენ პოლონეთის ავტონომიას, მაგრამ სხვა და სხვანაირად. „სახალხო-დემოკრატიული პარტია მომხრეა პოლონეთის ავტონომიისა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ახლანდელი დრო ხელსაყრელი არ არის ავტონომიის მოთხოვნისათვის. პროგრესიულ-დემოკრატიული პარტია სავსებით ეთანხმება პოლონეთის სოციალისტურ-პარტიის პროგრამის თითქმის ყველა მუხლებს.

რვა საათიანი სამუშაო დღე

რვა საათიან სამუშაო დღის შემოსაღებად დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობა იმდენად გაძლიერდა ამ უკანასკნელ ხანებში, რომ საფრანგეთის მთავრობამ საჭიროდ სცნო გალაშქრება მის საწინააღმდეგოდ და სხვადასხვა შემზღუდველ ზომების მიღება. ამ ზომების სულის ჩამდგმელად მუშებს მიაჩნიათ ახლანდელ სამინისტროს თავმჯდომარე რუვიე, თუმცა მუშების ორგანიზაციათა წინააღმდეგ ჯერჯერობით გამოილაშქრა მხოლოდ პარიზის პრეფექტმა და პარიზის სამოქალაქო გამგეობამ. მოძრაობის ბუდედ „შრომის ბირჟები" ითვლება და, რაკი ეს ბირჟები ყველგან სამოქალაქო მმართველობაზე დამოკიდებული არიან, ამიტომ უკანასკნელმაც ჯერ ამ ბირჟებს მიჰყო ხელი. ლიონის ქალაქის თავმა დაიწყო პირველმა გამოლაშქრება. მან ბირჟიდან გამოჰყარა მუშათა ორგანიზაციები. დახურეს ბირჟა აგრეთვე ალჟირში.

მთავრობის პირველი აზრი ის იყო, რომ წაერთმია მუშების ბირჟებისთვის ის „სუბსიდია", რომელიც მათ ეძლეოდათ ყოველწლიურად, მაგრამ შემდეგ მან ეს აზრი დასტოვა, თუმცა პარიზის ბირჟას მარტიდან მოკიდებული ასი ათას ფრანკ სუბსიდიიდან ერთი კაპეიკიც არ მიუღია. პირველად სუბსიდიის მოსპობას მთავრობა აი რა მოსაზრებით ფიქრობდა: სუბსიდიას რომ მოვუსპობთ, ბირჟები გაჭირვებაში ჩავარდებიან და მაშინ ამ გაჭირვების გავლენას ყველა იმის ძებნას დაიწყებს, თუ ვისი ბრალია, რომ მათ სუბსიდია მოუსპეს. მაშინ ყველა უთუოდ მიხვდება, რომ სუბსიდიის მოსპობის მიზეზი უკიდურეს ელემენტების ყოფა-ქცევაა, დაიწყება ამ ელემენტების გამტყუნება და გაკიცხვა და ამნაირად მუშათა ორგანიზაციების ახლანდელი ერთობა დაირღვევაო. ამით ვისარგებლებთ ჩვენ და ბირჟებიდან უკიდურეს ელემენტებს გამოვდევნითო.

მთავრობის პოლიტიკა არ გამოდგა: მუშებმა მისი საიდუმლო განზრახვა მაშინვე შენიშნეს და გამოააშკარავეს;—პრეფექტმაც ამ საშუალებას აღარ მიმართა.

ეს ხრიკი რომ არ გამოდგა, მაშინ რეაქციონურ პრესსას მიმართეს და ზოგიერთ გამომცემელს. ამათ შორის პირველი ადგილი დაიჭირა ბ. კოპინომ, თვითონ მუშად ნამყოფმა და „პარიზის მუშათა სინდიკატის" მდივანმა. კოპინო სინდიკატის გამოცემაში ამ წლის 10 მარტს ცილის წამებით სავსე შემდეგ სიტყვებს სწერს: „მალე ისეთი დრო მოვა, რომ პატიოსანი ადამიანი ჩვენ კრებებზე ფეხსაც ვეღარ შემოსდგამს. რაც შეეხება ქალების ქცევას, ისინი ისე იქცევიან რომ"... (იქ ისეთი სიტყვებია ნახმარი, რომ მათი ისე გადათარგმნა არ შეიძლება, სიბინძურე რომ არ გამოვიდეს. მეორე წერილში ეს ამხანაგების მოღალატე სწერდა, ბირჟები ქურდ-ბაცაცების ბუდედ გახდაო.

ავტორის მიზანი ცხადია,—მას ყველაფერი წინდაწინვე ჰქონდა მოფიქრებული, მას უნდოდა რეაქციონურ პრესსისთვის მასალის მიცემა, რომ ამ პრესსასაც „კამპანია" დაეწყო და მთავრობა შეეგულიანებინა ბირჟების საწინააღმდეგოდ რეპრესსიულ ზომების მიღებაზე. „კაპიტალისა და შრომის ინტერესების შერიგების მქადაგებელს" გულს უკლავს ის გარემოება, რომ „შრომის ბირჟები" ამ ბოლო დროს მუშათა კლასსის ინტერესების დაცვის აქტიურ ელემენტად გადაქცეულა. რაც შეეხება იმ ცილის-წამებას, რომელიც ამ კაცის სიტყვებშია მოთავსებული, უნდა ვთქვა, რომ 6 წელიწადია, საფრანგეთის „შრომის ბირჟების" განვითარებასა და მდგომარეობას თვალ ყურს ვადევნებ, მათ გამგე კომიტეტის წევრებს და მათ მოღვაწეთ ვიცნობ და არ გამიგონია, რომ პარიზის ბირჟაზე უზნეობა რამ მომხდარიყოს.

ვინც ცოტად თუ ბევრად იცნობს პარიზის ბირჟას, იმისთვის ისედაც ცხადია, რომ კოპინოს სიტყვები უბრალო ცილის-წამებაა და სხვა არაფერი. მაგრამ რეაქციონურ-ანტისემიტურ პრესსისათვის სულ ერთია, მართალი იქმნება თუ ტყუილი ის საბუთები, რომელზედაც იგი თავის მსჯელობას ამყარებს. ამ მიმართულების გაზეთებმა ერთი განგაში ასტეხეს: მამული დაიღუპა, ზნეობა დაეცა, ხალხი ხდებაო! ერთმა ანტისემიტთა გაზეთმა „ლიბრ პაროლ"-მა გამოაცხადა: „ზოგიერთი ბირჟა საროსკიპო სახლების განყოფილებად თუ არა, ქურდების ბუდედ მაინც გადაქცეულა. არ გეგონოთ, ჩვენ აქ ვუმატებდეთ რასმე ან ვიგონებდეთ,—წაიკითხეთ ქვემოდ დაბეჭდილი სიტყვები, მუშათა სინდიკატის მდივნისგან დაწერილი... და ანტისემიტური გაზეთი აქ ბეჭდავს კოპინოსის წერილს. ანტისემიტურ გაზეთს დინჯი „ტან"-იც დაეხმარა, მას სხვა გაზეთებიც აჰყვნენ და ბოლოს პარიზის სამოქალაქო გამგეობა ჩაერია საქმეში და რამოდენიმე დღის მსჯელობის შემდეგ ბ. პ. ბრუსის თავმჯდომარეობით (ბრუსი სოციალისტია) მიიღო რამოდენიმე გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც „პარიზის ბირჟას" სრულებით ერთმევა დამოუკიდებელი არსებობა, ავტონომია და პარიზის პრეფექტის, ე. ი. პოლიციის კერძოდ ხდიან.

ბირჟამ ეს განკარგულება, რასაკვირველია, იუკადრისა: „არც სახლიდან გავალ და არც თქვენს განკარგულებას მივიღებთ მხედველობაში და ჩვენს საქმეს უწინდელივით განვაგრძობთო". პრეფექტიც გაჯიუტდა და ბირჟის მოსპობა გადასწყვიტა: მას შემდეგ სულ მუდამ იმის მიზეზს ეძებდა, რომ პარიზის ბირჟის წინააღმდეგ ახალი ზომები მიეღო. ეს მიზეზიც მან ამ ოქტომბერში ნახა (5 წლის შემდეგ!) პარიზის მუშათა ორგანიზაციის ანტიმილიტარულ ხასიათში.

მეხსიერება თუ არ მღალატობს, „ივერიას" ამ წლის ერთ-ერთ ნომერში იყო ნათქვამი, რომ საფრანგეთში ამჟამად ცხარე ანტიმილიტარულ პროპაგანდა ატეხილია. ორ წელიწადზე მეტია მას აქეთ, რაც ანტიმილიტარულ პროპაგანდას განსაკუთრებული ხასიათი აქვს,—ეს პროპაგანდა ახლა მეტის თანდათანობით ხდება. ამ პროპაგანდის მნიშვნელობამ საფრანგეთში იმატა მას შემდეგ, რაც ჰოლლანდიაში შეყრილ კონგრესზე დაარსდა ანტიმილიტარული საერთაშორისო ამხანაგობა. მუშათა ორგანიზაციები კი აგერ ხუთ წელიწადზე მეტია, რაც ასეთსავე პროპაგანდას ეწევიან და ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ უკანასკნელ დროს, როდესაც საფრანგეთში ანტიმილიტარული პროპაგანდა დაიწყო, მათ ამ პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციის ორგანო „ვუა დიუ პეპლ"-ი ყოველ წლობით, იმ დროს, როდესაც ჯარში ახალგაზდებს იწვევენ, განსაკუთრებულ ნომერს ბეჭდავდა, რომელშიაც აგონებდა მათ მოვალეობას, დაიცვან მუშათა კლასსის ინტერესები.

წინედ სინდიკატების საწინააღმდეგოდ ზომებს თუ არ იღებდნენ, ამის მიზეზი ის იყო, რომ იმედი ჰქონდათ,—მოიშინაურებდნენ სინდიკატების წარმომადგენელთ, მოალბობდნენ მოძრაობას. მაგრამ ეს ტაქტიკა უსარგებლო გამოდგა და აი, მთავრობა და მუნიციპალიტეტი სინდიკატის ორგანიზაციის წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლის გზას დაადგნენ. მათ სურთ შეაფერხონ „კონფედერაციის" პროპაგანდა, რომელსაც მიზნად აქვს კვირაში ერთი დღის მოსვენების და 8 საათიან სამუშაო დღის განხორციელება. სწორედ ამიტომ სხვადასხვა სადგომიდან განდევნეს ორგანიზაციები და მათ იქ შეკრების უფლება წაართვეს...

მაგრამ სინდიკატისტები არა სცხრებიან: გვდევნიან, ამბობენ ისინი, მაგრამ ეს დევნა ჩვენი ენერგიის გამღვიძებელი უნდა შეიქნეს, იგი ჩვენი ძალის ნიშანი არის. ამ დევნის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება საჭიროც არ არის. საუკეთესო პროტესტი ის იქმნება, თუ ჩვენს მოქმედებას გავაორკეცებთ"...

მთავრობა შესცდა, როდესაც იფიქრა, რომ გააქარწყლებდა სინდიკატისტების მოქმედებას. მისმა დევნამ მხოლოდ სინდიკატისტებისადმი ხალხის სიმპატია გააძლიერა და შეუნებლადაც უჩვენა სინდიკატის კარები, რომელშიაც შესვლით მუშები თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებელ საშუალებას ნახავენ და სადაც კეთილდღეობა და თავისუფლება ყველას თანასწორად მიენიჭება.

ასეთია სინდიკალისტების შეხედულობა. დევნამ ისინი არ შეაშინა, ვერც მათი პროპაგანდა შეასუსტა. ახლა ისინი კიდევ მეტის თავგამოდებით იწყებენ შრომას, ახლა ამ მოძრაობის ყველა მომხრე ირწმუნება, რომ მომავალ პირველ მაისს არც ერთი არ დააკლდება, რომ ყველა მათგანი მზად არის ამ საქმეში სულით და [illegible]დული მონაწილეობა მიიღოს.

შეგნებულად სისტემატიურად მზადდება მომავალ პირველ მაისისთვის დიდი საქმე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზოგიერთები ეჭვის თვალით უყურებენ ამ მოძრაობას,—მუშების ავტონომიურ მოქმედებას ისინი არ არიან ჩვეულნი, მათ ვერ შეუმჩნევიათ, რომ სწორედ ეს ავტონომიური მოქმედება ამტკიცებს მუშა ხალხის პოლიტიკო-სოციალურ სიმწიფეს.

ამნაირად წარსულსა და მომავალს შორის საშინელი ბრძოლაა ატეხილი.

ჩვენდა თავად იმედი გვაქვს, რომ მომავალში ამ მოძრაობას სრული გამარჯვება მოელის.

კამანდო. გ—ლია.

ორის რუსულის გამოცემის აზრი ქართველ სამღვდელოებაზე*)

უკანასკნელს ჟამს რუსეთის ორმა პერიოდულმა გამოცემამ გამოსთქვა თავისი აზრი შესახებ ქართველ სამღვდელოების მიმართულებისა და მოქმედებისა. ეს გამოცემანი არიან თვიური ჟურნალი: „Вопросы Жизни" და ყოველ-დღიური გაზეთი: „Московскія Вѣдомости". პირველი პროგრესიული გამოცემაა, მეორე რეტროგრადული, პოლიციურის მიმართულებისა. ერთმა გამოცემამაც და მეორემაც წყვილ-წყვილი სტატია უძღვნა ქართველ სამღვდელოთა კრებულს. თითო სტატია ეკუთვნის თანამშრომლებს, თითო კიდევ რედაქციებს. თანამშრომელნი და რედაქცია ერთნაირად მსჯელობენ, ერთნაირს შეხედულობას გამოსთქვამენ, ერთსა და იმავე ჰანგზე მღერიან. ერთი დამღერის, მეორე ბანს ეუბნება. გამოდის ორი დუეტი, მაგრამ როგორი? ისეთი, რომ ერთი დუეტი სრულიად ეწინააღმდეგება მეორესა. რეაქციონური გაზეთი ორსავე თავის სტატიაში ქართველ სამღვდელოებას იხსენებს დიდის ძაგებით, თითქმის ლანძღვა-გინებით აბრალებს მოღალატეობას, სეპარატისტობას და დაჟინებით თხოულობს რეპრესიულ ზომების მიღებას, თითქო მონობის გენას კიდევ ესაჭიროებოდეს ნავთის გადასხმა. პროგრესიული ჟურნალი-კი ქართველ სამღვდელოებას დიდს ქება-დიდებას უძღვნის და რუსეთის სამღვდელოებას ურჩევს დაადგეს თავის მოქმედებაში იმავე ნათელს, პროგრესიულს მიმართულებას, რომელიც გაუკვლევია საქართველოს სამღვდელოებას. ორივე სტატია, როგორც ეტყობა, დაწერილია რუსთა მიერ.

ჩვენ აქ ვერ მოვიყვანთ სტატიების შინაარსსა, რადგანაც გაზეთის სივრცე ამის ნებას არ გვაძლევს. ამასთანა სტატიების გადმოთარგმნა, თუნდა შემოკლებითაც, პირდაპირი საქმეა ქართულის ჟურნალისა და „მოამბის" რედაქცია ძალიან კარგს იზამს, თუ ხსენებულის სტატიების თარგმანს დაბეჭდავს ჟურნალის მახლობელს ნომერში...

ჩვენ მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია მცირეოდნად განვმარტოთ ერთი მხარე საგნისა. რა მოსწონს უმთავრესად პროგრესიულს რუსულს ჟურნალს ქართველ სამღვდელოების მოქმედებაში? მოსწონს მისი წადილი—მოიშოროს თავიდან კლერიკალურ-ბიუროკრატიის ბატონობა, მოიპოვოს თვით მმართველობა, აღადგინოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს ეკკლესიისა და, მამინაცვლის მაგიერად, გაუჩინოს მას მზრუნველად ღვიძლი მამა-კათალიკოსი, ამორჩეული ადგილობრივ სამღვდელოების მიერ ხალხის მონაწილეობით, როგორც ეს იყო წინად საქართველოში. თვით-მმართველობა და ავტონომია ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება პროგრესიული ღონისძიება, მეტად სიმპატიური და მიმზიდველი ყველა ადამიანისათვის. მაგრამ იქნება არსად ისე საჭირო არა ყოფილიყოს ამ პრინციპის განხორციელება, როგორც ჩვენის ეკკლესიის სფეროში. იგი იმყოფება, აგერ ერთი საუკუნე მეტია, იმისთანა მონობაში, რომელიც არ გამოუცდია არც ერთს წარმართ სარწმუნოებასაც-კი ქრისტიანულს სახელმწიფოში. გადაგვარება, დენაციონალიზაცია—აი რას ნატრულობდნენ, რას მისდევდნენ ჩვენი ეკკლესიის უცხო მმართველნი ასის წლის განმავლობაში. დროა თავიდან ავიშოროთ ეს სენი, დროა კლერიკალურის ბიუროკრატიის ბრჭყალებიდან განვთავისუფლდეთ, მოვირჩინოთ წყლულებანი და მივიპოვოთ სრული სიმრთელე და თავისუფლება სინიდისისა. ამისი ერთად-ერთი უებარი წამალი გახლავთ, ესრეთ წოდებული, ავტოკეფალია საქართველოს ეკკლესიისა, რომელსაც ერთხმივ და მხნედ ითხოვს მთელი სამღვდელოება აქეთ და იქით საქართველოსი.

მართალია, ჩრდილოელი პოლიტიკანები ეწინააღმდეგებიან ამ წადილის განხორციელებას და სცდილობენ ჩვენი ეკკლესია დასტოვონ აწინდელს მონურს მდგომარეობაში, მაგრამ თვით კეთილ-გონიერნი და სამართლიანი რუსები უწევენ მომხრეობას ავტოკეფალიას, და მას უსათუოდ ვეღირსებით დღეს თუ ხვალ, თუ ქართველი საზოგადოება უფრო მეტს უნარს გამოიჩენს, მეტს დახმარებას გაუწევს სამღვდელოებას და მეტს სიცხოველეს და ძალას მისცემს თავისს მოთხოვნასა. თუ სომეხთა სამღვდელოება სავსებით ეწია თავის გულის წადილს, დაუყოვნებლივ უკან დაიბრუნა წართმეული მამულები და ეროვნული სამრევლო სკოლები, ეს მოხდა იმის გამო, რომ მას მთელმა სომხობამ მხარი დაუჭირა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო მისს ბრძოლაში... ქართველი საზოგადოებაც ასე უნდა მოიქცეს და განაძლიეროს თავისი მოქმედება ნაციონალურ ეკლესიის აღსადგენად... თუმცა ჩვენი საზოგადოება სითამამეს

---

*) ეს შენიშვნა დაწერილი იყო და დასაბეჭდად აწყობილი ერთის თვის წინად, მაგრამ ტვინმესტრეებმა დღის სინათლე არ აღირსეს. ვბეჭდავთ ახლა, რადგანაც თავისუფალი ვართ ტვინ-მესტრებისაგან. ავტ.

ნაციონალურ საქმეებში გადაჩვეულია და შეშინებულიც, მაგრამ სარწმუნოების სფერაში მას უშიშრად შეუძლიან გამოიჩინოს თვით უკიდურესი გამბედაობა, რადგანაც სვინიდისის და სარწმუნოების თავისუფლება აღიარებულ და გამოცხადებულ იქმნა თვით საიმპერატორო ტახტიდან.

ქართულმა პრესსამ ამ საკითხის განსჯის დროს არ უნდა დაივიწყოს, რომ აწინდელი მმართველობა ქართულის ეკლესიისა არ შეიძლება არ იყოს ყოველთვის რეაქციის მიმდევარი, მაშინ, როდესაც თვით-მდგომარე ქართული ეკლესია, უეჭველია, გახდება ნაციონალურ პროგრესსის მომხრე, რის იმედსაც გვაძლევს აწინდელი ჩვენი სამღვდელოების მოქმედება, რომელმაც ისეთი სიმპატია დაიმსახურა პროგრესიულ რუსულ ჟურნალ-გაზეთებისა და წყევა-კრულვა რეაქციონერებისა. ამ იმედს აძლიერებს მეტადრე ის გარემოება, რომ ჩვენი სამღვდელოების პეტიციები აყენებენ სასულიერო მოზარდ თაობას განათლების სალსა და პროგრესიულს გზაზე. სამღვდელოება ითხოვს—დახურულ იქმნან თანდათან აწინდელი სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები, რომელნიც აძლევენო ვიწრო კლერიკალურ სწავლასა, და მათ მაგიერ გაიხსნან თანდათან საზოგადო ტიპის სასწავლებლები რვა წლის კურსით, სადაც მისი შვილები ეღირსებიან იმავე საერთო განათლებას, რომელსაც მიიღებენ განახლებულს და გაუკეთესებულს საერო საშუალო სასწავლებლებში სხვა წოდებათა შვილებიო. ამ ახალის ტიპის სასწავლებლებში კურს დამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ სრული საგიმნაზიო უფლებანი. იმ კურს დამთავრებულთათვის, ვისაც ექნება მოწოდება სულიერის მოძღვრობისადმი, ამ სასწავლებელთან არსდება ორი საღვთისმეტყველო კლასი, სადაც ყოველ საგნის სწავლება უნდა აუცილებლად სწარმოებდეს ქართულს ენაზე.

თუ სომხის სამღვდელოება ადგია ვიწრო კლერიკალურს გზას, ეს უმთავრესად წარმოსდგება იმისგან, რომ იგი განათლებას იღებს კლერიკალურს სასწავლებლებში. ქართველს სამღვდელოებას, როგორც ეტყობა, ეს გარემოება კარგად გაუთვალისწინებია და რადიკალური ღონისძიება მოუსაზრებია ვიწრო კლერიკალურის მიმართულების წინააღმდეგ. *)

ვარიანელი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ნატანები, 4 ნოემბერი. სამხედრო წესების ახსნამ მცხოვრებლები დაამშვიდა. სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა დაიწყეს.

ფოთი, 5 ნოემბერს. ქალაქის თავმა ნიკოლაძემ პეტერბურგიდან ცნობა მიიღო, რომ ყველა პროექტი ფოთის ნავთსადგურის აგების შესახებ მესამე სესხის ანგარიშით მთავრობისაგან უკვე დამტკიცებულია. შედგენილია სახალხო სახლის პროექტი. გურიიდან სანოვაგეს შემოტანა დაიწყო.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

რედაქციამ გურიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო ეპისკოპოსის ექვთიმესაგან 20 მ., მარიამ ალ. თუმანიშვილისაგან 10 მან., ილ. მაქავარიანისაგან 5 მ. და უსახელოსაგან 3 მან., სულ 38 მან., წინად მიღებულთან სულ შემოსულია 186 მან.

ახალი ამბავი

დღეს, 6 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის მიერ ნაძალადევში დანიშნულია **სახალხო მიტინგი** დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

◆ დღეს, დილის 11 საათზე, **დიდუბეში მოხდება სახალხო მიტინგი** პოლონეთის მდგომარეობისა და სხვა მიმდინარე საქმეების შესახებ. მიტინგს მართავენ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, რუსეთის სოციალისტ რევოლუციონერები და სომეხთა „დროშაკისტები“.

◆ **რუსეთის ფოსტა ტელეგრაფის ყველა კანტორებმა სრულიად-რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირისაგან შემდეგი დეპეშა მიიღეს:** თუმცა სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებმა მოითხოვეს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირი კანონიერად იქმნეს აღიარებული, მაგრამ დურნოვო და სევასტიანოვი 17 ოქტომბრის მანიფესტს მაინც თავისებურად განმარტავენ. ამ თავხედობამ მოთმინების ფიალა აგვივსო. თავისუფალ რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს აღარ ძალუძთ ამ ძალმომრეობას დაემორჩილონ. ჩვენც დავწყვიტოთ მონობის ჯაჭვები და დავამტკიცოთ, რომ ჩვენც უნდა ვიყოთ თავისუფალნი, როგორც სხვა მოქალაქენი. **მაშ, ამხანაგებო, მოემზადეთ საერთო გაფიცვისათვის.**

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა 3 ნოემბერს ბათუმისა, ფოთისა, ტფილისისა და საჩხერის რკინის გზის შტოებზე **შემდეგი დეპეშა დაგზავნა.** ,,გურიაში მშვიდობიანობის დამყარების გამო, კავკასიის ნამესტნიკმა სამხედრო წესები ახსნა და დანარჩენ ჯარების გაგზავნა მოსპო. შეძლება რომ მოგვეცეს რკინის გზებზედაც აიხსნას სამხედრო წესები, წინადადებას ვაძლევ მოსამსახურეთ, დაუყოვნებლივ ყველა თავ-თავის ადგილს დაუბრუნდეს. ჯამაგირები დარიგდება პირველივე „მატარებლით“. ამ დეპეშასთან ერთად გაგზავნილ იქმნა მეორე დეპეშა: ,,რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესები ახსნეს და გურიიდან ჯარები გამოიწვიეს, რკინის გზების უფროსის დეპეშის თანახმად, ჩვენ, ტფილისის ნაწილის რკინის გზის მოსამსახურენი, მუშაობას დავუბრუნდით და თქვენც გთხოვთ, მატარებლების წესიერი მიმოსვლა აღადგინოთო‘‘.

◆ გუშინ-წინ, 4 ნოემბერს, ქართული დრამატიულ საზოგადოების **გამგეობას კრება ჰქონდა**, რომელზედაც გამოცხადდნენ ქართულ მუსიკის წარმომადგენელნი ბ.ბ. იაკობ კარგარეთელი და ცხომელიძე. ამათ სთხოვეს გამგეობას, თეატრი დაუთმოს გურულთა სასარგებლოდ საოპერო წარმოდგენის გასამართავად. გამგეობა სიამოვნებით დასთანხმდა. წარმოდგენა 20 ნოემბერს გაიმართება. წარმოადგენენ „სევილიელ დალაქ‘‘-ს. ამავე კრებაზე გამგეობამ გადასწყვიტა, ახლო მომავალში ერთი ქართული წარმოდგენა გამართოს ეგზეკუციისაგან აოხრებულ ქართლის მცხოვრებთა სასარგებლოდ.

◆ როგორც ვწერდით, დღეს ტფილისის ყველა მოხელეთა მიტინგია დანიშნული, სადაც განხილულ იქმნება ყველა დაწესებულებათაგან წარმოდგენილი მოთხოვნილებანი. გუშინწინ, 4 ნოემბერს, **ტფილისის საკანტროლო პალატის მოხელეებმაც** სცადეს შეკრება და თავიანთ მდგომარეობაზე მოლაპარაკება. მოხელეთა განზრახვა გაუგებარი არ დარჩა ამ დაწესებულების გამგეს ვ. ვ. იუშკევიჩს, რომელმაც შეაგროვა მოხელენი და უთხრა: მე გავიგე, რომ თქვენ მიტინგზე გასაგზავნად დელეგატის არჩევას აპირობთ და თქვენც ემზადებით იქ წასვლას; ამას მე არ დაგიშლით, თუ კი თქვენი სურვილი იქნება, მხოლოდ გახსოვდეთ ერთი რამ: ფიცი გაქვთ მიღებული და მიტინგზე სიარული არ შეგშვენით. ყოველ შემთხვევაში, თუ რაიმე საქმე გაქვთ, შეგიძლიანთ მე მომმართოთ. ვ. ვ. იუშკევიჩის ქადაგებამ გასჭრა: მოხელენი ჩაჩუმდნენ, ქუდები დაიხურეს და თავ-ჩაღუნულნი სახლებში წავიდნენ.

◆ **რკინის გზის სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა კრება**. პარასკევს, 4 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, რკინის გზის სახელმწიფო კონტროლის ბაღში მოხდა ზემოდ დასახელებულ დაწესებულების მოხელეთა კრება. კრებას უნდა აერჩია ორი დელეგატი ,,მოხელეთა ბიურო‘‘-ში მონაწილეობის მისაღებად. ფარულის კენჭის ყრით არჩეულ იქმნა ფაქტიური კონტროლიორი როლკე—35 ხმით და ნაგურსკი—19 ხმით. კანდიდატებად აირჩიეს უფროსი კანტროლიორი კესსენიხი—11 ხმით და ეგოროვი—7 ხმით.

◆ როგორც გავიგეთ, მღვდელს კალისტრატე ცინცაძეს, რაღაც ინციდენტის გამო, ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის წევრობისთვის თავი გაუნებებია.

◆ რაც ტფილისში წარმოდგენების მართვა განახლდა, ხალხი, საზოგადო შიშიანობის გამო ძლიერ ნაკლებად ნაკლებად დაიარება თეატრებში. ამის გამო დიდ ზარალში არიან რუსულ ოპერისა და დრამის ანტრეპრენიორები. ტფილისის სახაზინო თეატრის **საოპერო დასის ანტრეპრენიორს ბ-ნ ლ. დონსკოის**, როგორც გადმოგვცეს, **განუზრახავს დაუკლოს ფასს** ბალკონისა, პარტერისა და გალიორკის ზოგიერთ ადგილებზე.

◆ ორშაბათს, 7 ნოემბერს, ქალაქის საბჭო აირჩევს **ავლაბრის პროგიმნაზიის საბჭოს წარმომადგენელს.**

◆ **ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა ქალაქის მოურავს შემდეგი განცხადება წარუდგინა:** 1) ქალაქის საბჭოს კრება განსაკუთრებით ქალაქის საქმეთა განსახილველად ინიშნებოდეს ხოლმე დღისით; 2) დიდ შენობებში დაინიშნოს საბჭოს კრება—მიტინგები საერთო სახელმწიფო და საქალაქო საგნების განსახილველად, 3) ქალაქში დაარსდეს მცხოვრებთა დამცველი განსაკუთრებული მილიცია. ქალაქი 36 ნაწილად გაიყოს და მილიციაში მონაწილეთ იარაღი დაურიგდეთ, 4) დაარსდეს დაუყოვნებლივ საქალაქო მილიცია, 150 ცხენოსანი და 500 ქვეითი, 5) დაუყოვნებლივ გაუქმდეს მეეზოვეთა ინსტიტუტი, რომლის შენახვაც ქალაქს ძალიან ძვირად უჯდება, 6) ქალაქის პოლიცია გადავიდეს ქალაქის ზედამხედველობის ქვეშ, და 7) წინადადება მიეცეს ადმინისტრაციას, რომ საქალაქო და თავის დამცველ მილიციას იარაღი დაურიგდეს.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა დღეს ამოირჩევს დელეგატს მოსკოვის ბიუროში გასაგზავნად.

◆ „ბურ-დვინოს“ სასტუმროში ჯარის ჩაყენების შემდეგ სალდათებმა აიკლეს და დაარბიეს დ. გაბრუაშვილის საპარიკმახერო. განჯის პოლკის სალდათებს „ბურ-დვინოს“ შესავლიდან გაუტეხიათ მაღაზიის უკანა კარები, რის წაღებაც შეიძლებოდა, წაუღიათ, ხოლო დანარჩენა დაუმტვრევიათ. გაბრუაშვილს 500 მანათამდე ზარალი მოსვლია.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისში მცხოვრებთა ერთს ჯგუფს აზრადა აქვს სამადლობელი დეპეშა გაუგზავნოს გურულებს თავისუფლებისთვის თავ-განწირულ ბრძოლისათვის.

◆ დონის როსტოვიდან ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი:

ამჟამად აქაურ სატუსაღოში 50 ქართველი იმყოფება, რომელნიც გორის მაზრიდანა და სადგურ ხაშურიდან არიან გადმოსახლებულნი. ყველანი გამოგზავნილნი არიან ადმინისტრატიულის წესით, გენერალ-გუბერნატორის უბრალო განკარგულებით, საქმის გაურჩევლად და გამოუძიებლად. ჟანდარმებსაც კი არ ჩამოურთმევიათ ჩვენება. გამოგზავნილნი არიან მოულოდნელად, უფულოდ და უტანისამოსოდ. იმათ ვერც კი მოასწრეს მშობლებთათვის ეცნობებინათ თავიანთი ამბავი, რომ ცოტად მაინც მომზადებულიყვნენ.

ამასტიის შესახებ უკაზში არის ერთი მუხლი: „კავკასიაში ამნისტიის გამოცხადება მინდობილია ნამესტნიკზე იმის მიხედვით, თუ რამდენად დაწყნარდება ხალხი.“ სწორედ ამ მუხლმა ჩააგდო გაჭირვებაში ეს 50 კაცი. კავკასიის ადმინისტრაცია, რომელსაც უშუალოდ ბრალი მიუძღვის მათ გადასახლებაში, ალბად, ზემო მოყვანილ მუხლით ხელმძღვანელობს და როსტოვის ციხეში მყოფთა უბედურ ხვედრს ბოლოს არ უღებს. ადგილობრივმა საზოგადოებამ დღემდე არავითარი ზომა არ მიიღო მათ განსათავისუფლებლად.

კავშირთა კავშირის ადგილობრივ განყოფილებაში შეაქვთ სამი განცხადება: 1) წინადადება მიეცეს გრადონაჩალნიკს, რომ ისინი აღარსად გადაასახლონ, რადგან კანონია, რომ მათის შუამდგომლობის პასუხი განთავისუფლების შესახებ აქვე უნდა გამოეცხადოთ. 2) ტფილისის ქალაქის საბჭოს წინადადება მიეცეს, ნამესტნიკს მოსთხოვოს დაუყოვნებლივ მათი განთავისუფლება; 3) ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდეს მოწოდება, რათა ისინი ნივთიერად უზრუნველ ყოფილ იქმნენ და შეძლება მიეცეთ სამშობლოში დაბრუნებისა.

როგორც უკვე გამოცხადებულია გაზეთებში, ნამესტნიკმა უკვე მოახდინა განკარგულება კავკასიელ ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ.

◆ 4 ნოემბერს ტფილისის საგუბერნიო სამართველოს მოხელეებმა, მუშაობის გათავების შემდეგ, თათბირი ჰქონდათ თავიანთ მოთხოვნილებათა შესახებ. თითოეულს მოხელეს დაევალა გამოეთქვა თავისი მოსაზრება მოხელეთა მდგომარეობის შესახებ და თავისი აზრი 5 ნოემბრის წერილობით წარედგინა ამ დაწესებულების მოხელეთა თათბირს მთელი დაწესებულების მოთხოვნილებათა შესამუშავებლად. 5 ნოემბერს მოხელეები შეიკრიბნენ და ყველამ აზრი გამოსთქვა, მაგრამ გარკვეული ვერა დაადგინეს-რა, რადგან ბევრი მოხელეები ძალიან დიდ მოთხოვნილებად სთვლიდნენ წვრილ-ფეხა მოხელეთა მოთხოვნილებებს. გადასწყდა, საღამოთი კიდევ შეიკრიბონ და როგორმე მოახერხონ საერთო მოთხოვნილებათა შემუშავება დღეის მიტინგზე წარსადგენად. მოხელეები თითქმის ერთხმად აღიარებენ ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, მოხელეთა კლუბის დაარსებისა და ჯამაგირების მომატების საჭიროებას.

◆ დაბა სურამში ამ დღეებში დასრულდა კენჭის ამოღება. სამხედრო სამსახურში გაწვეულთაგან ბევრი გაქცეულა.

თემის ადგილი

(მღვდლის გაპონის მოგონებანი 9 იანვრის გამო)

8 იანვარს ორი წერილი გავგზავნეთ, ერთი შინაგან საქმეთა მინისტრთან,—მეორე მეფესთან. როდესაც ჩემი მეგობარი კ. შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დაბრუნდა, ორნივ ერთად იუსტიციის მინისტრთან—მურავიოვთან წავედით. მურავიოვთან მარტო შეველ, მინისტრი აღშფოთებით დამეკითხა:

— „გულწრფელად მითხარით, ეს რას მოასწავებს“?

— ხომ არ დამატუსაღებთ?

— არა!—ფიქრის შემდეგ მიპასუხა მან. ეს პასუხი გავამეორებინე, შემდეგ ავუწერე მუშა ხალხის საშინელი ყოფა-ცხოვრება და ჩვენის პეტიციის პირი გადავეცი. ეს პეტიცია მხოლოდ 15 ცალი გვქონდა დასტამბული.

— ასეთი ფურცელი მეცა მაქვს!.. მიპასუხა, მაგრამ მაინც ჩამომართვა. უცებ სასოწარკვეთილებით შემომხედა:

— თქვენ ხომ მონარქიის შეზღუდვა გსურთ!

— დიახ, მაგრამ ეს შეზღუდვა სასარგებლო იქმნება, როგორც მეფისთვის, ისე ხალხისთვის... ჩვენ ხომ ყველაფერს ერთად არ ვითხოვთ,—ახლავე გამოაცხადეთ მხოლოდ ამნისტია და დაუყოვნებლივ მოუწოდეთ ხალხის წარმომადგენელთ. დეე, მეფე მოევლინოს თავის ხალხს და განიზიაროს მისი გულისნადები. მეფეს ხელს არავინ ახლებს,—ჩვენ ვართ თავდები! ფეხთ-

ფელეტონი

მოულოდნელი შეხვედრა.

დილის 8 საათი იქნებოდა. საქმეზე მივეჩქარებოდი და ქუჩაში ტრამვაის ვაგონს ვუცდიდი.

ჩემთან ერთად რამდენიმე კაცი და ქალიც უცდიდა ვაგონს და დაღვრემილის სახეებითა და გაშუსხული თვალებით ფარულად ერთი-ერთმანეთს ვათვალიერებდით. ვაგონი კი არსად სჩანდა. გადამეტებული ცდით გაჯავრებული გამვლელ-გამომვლელთ თვალს ვადევნებდი და გაჩქარებულ ნაბიჯით მიმავალ ქალებს სახეებს ვუთვალიერებდი, მაგრამ ვერც ერთმა სახემ ჩემი ყურადღება ვერ მიიქცია და ვაგონის ცდაში გული უფრო გამიბოროტდა, უფრო მეტად გავჯავრდი.

დღიური მუშა უკვე დიდი ხანია თავის სამუშაოს ადგა, ჩემს გვერდზე გავლილ-გამოვლილ ხალხისთვის კი ჯერ ისევ ადრე იყო და ყველას სახეზე ეტყობოდა, რომ რბილსა და თბილ საწოლებისთვის უსიამოვნოდ დაენებებინათ თავი და საჭირო საქმეებზე კარში გამოსულიყვნენ. ზოგს ახლად დავარცხნილი თმა ჯერაც არ შეშრობოდა, ყველას სახე მოღრუბლული ჰქონდა და ვგრძნობდი, ვისმესთვის რამე რომ მეკითხნა, პასუხს არავინ მომცემდა, ან თუ მომცემდა, უზრდელად და უკმეხად.

ეტლები, დროგები, შეშით დატვირთული ურმები და ქვეითად მოსიარულე ხალხი ერთმანეთში ირეოდა, ერთმანეთს გზას უქცევდა. ისმოდა ყვირილი, ლანძღვა და გინება.

იქვე, შორიახლოს, ქუჩის შესახვევთან, ერთი ეტლი იდგა და მგზავრს ელოდა. ცხენებს უკანა ფეხებზე ჩაეკეცნათ, თავები ჩაექინდრათ, მიწას ჩასცქეროდნენ და სთვლემდნენ. მეეტლეს ყური და თვალი ქუჩისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ბატონურის კილოთი დაძახებას ან მედიდურად თითის დაქნევას ელოდა.

ამ ეტლს ჩემდა უნებურად რამდენჯერმე შევხედე. ეტლი საშუალო იყო, ტფილისელ დანარჩენ ეტლებისაგან არაფრით განირჩეოდა, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიზიდა მეეტლეს სათნოიანმა, ლამაზმა სახემ.

ყოველთვის, როცა მისკენ მივიხედავდი ხოლმე, მეეტლე თვალს მომარიდებდა, ხან ცხენების იარაღის სწორებას მიჰყოფდა ხელს, ხან ჯიბეებში დაუწყებდა რაღაცას ძებნას, ხან გვერდზე მიიხედავდა ხოლმე. ერთ ხანს წასვლაც კი დააპირა, მაგრამ შეჩერდა და პაპიროსს მოუკიდა.

ყველა ამან მეტად გამაოცა და მეეტლეს თვალს აღარ ვაშორებდი. ტანთ ეცვა სუფთა, ახალი ტანისამოსი, ბეწვიანი, რგვალი ქუდი თვალებზე გადმოეწია და შავგვრემან, დაწმენდილ ლამაზ სახეზე შავი, დიდრონი თვალები უფრო ნათლად უბრწყინავდა, წვერი მოპარსული ჰქონდა და პატარა შავი ულვაშები ვიწრო და სქელ ტუჩებს უმშვენებდა.

უცბად შემომცინა და თავი დამიკრა. რამდენიმე წუთს გაოცებული დავრჩი, ბოლოს მოვისაზრე და მისკენ გავეჩქარე.

— ირაკლი, შენ ხარ?—შევძახე და, რადგან ვეღარაფრის თქმა ვერ მოვახერხე, დავუმატე—

— კაცო ვეღარ გიცანი!

ირაკლიმ უცნაურად გაიღიმა... რამდენიმე წუთს შევყურებდით ერთმანეთს და ლაპარაკს ვერ ვახერხებდით. ბოლოს უხერხულობა, ცოტა არ იყოს გაჰქრა და ჩვენმა ბაასმა სასურველი ელფე-

— ეტლი შენია?—გაუბედავად ვკითხე და ეტლი და ცხენები შევათვალიერე.

— ეგ და მაკლია, რომ ჩემი არ იყოს! მწარე ღიმილით მიპასუხა და შემდეგ განაგრძო—ვინც დავსვი ეტლზე, არაფერი აღარ მამიტანა. ხან მანათნახევარი მოჰქონდათ, ხან ორი, მეც ავიღე, რი მიიღო.

თავადიშვილობა გვერდზე გადავდე და თვითონ დავჯექი ეტლზე, რა ვქნა?

— დიდიხანია?

— ეს სამი თვე იქნება—მიპასუხა და ჩაჩუმდა.

თავად ირაკლი გ..-ს ვიცნობდი სოფლიდან, როდესაც ის ჩოხაში კოხტად გამოწყობილი, საუკეთესო იარაღში ჩასმული, მისებრ თავზე ხელაღებულ ცხენზე მჯდომი დაჰქროდა სოფელ-სოფელ და ვაი იმას, ვინც ან უკმეხ სიტყვას ეტყოდა, ან უზრდელად მოექცეოდა, ან რაც გადასახადი ჰქონდა, არ გადიხდიდა. ადამიანისთვის ხმლის შემოკვრა, ტყვიის სროლა მისთვის ისე ადვილი იყო, როგორც მზარეულისთვის ქათმის დაჭერა და თავის გაგდებინება. ეს გარემოება ყველა მის ნაცნობმა იცოდა და გლეხი და მედუქნე შორიდანვე ქუდს უხდიდა და მზად იყო, ყოველივე მისი ბრძანება დაუყოვნებლივ აესრულებინა, ხოლო მისი ტოლნი და ამხანაგნი მორიდებულნი იყვნენ და ყოველ სიტყვას ან ღიმილსა, ან „შენი ჭირიმეს“ გაუმძღვარებდნენ ხოლმე.

ის იყო შუა ტანის, კოხტად შედგმული, მოქნილი, როგორც ირმის სახრე. კარგად იცვამდა, უყვარდა კარგი იარაღი და ცხენი. რაც გინდა მკვდარი ყოფილიყო ცხენი, მის ხელში ცეცხლს აფრქვევდა, რაც გინდა გიჟი ყოფილიყო, მის ხელში ცხვარად იქცეოდა. ერთს საათში ისე დაგუშავდა ცხენს და ისეთს ჯირითს გამართავდა, რომ ნერვებ აშლილი ადამიანი ყურებას ვერ შესძლებდა. გაქანებულ ცხენიდან გადმოხტომა, ისევ ზედ შევარდნა, უნაგირზე ყირამალა დადგომა, ზეზეულად გაჩერება ირაკლისთვის ისევე ადვილი იყო, როგორც გოლოვინის პროსპექტზე სიარული. ამასთან არ იცოდა, რა არის შიში. ჩხუბის დროს სახე არც კი შეეშლებოდა, მხოლოდ თვალები უელავდნენ და იმ დროს ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი გამოანგარიშებული ჰქონდა. საზოგადოდ კი მხიარულის გულისა იყო, რაც კი რამ ჰქონდა, ამხანაგისთვის არ დაიშურებდა და ყველა ნაცნობსა და ამხანაგებისთვის საყვარელი კაცი იყო.

ირაკლი ისე ატარებდა თავის ცხოვრებას, როგორც ატარებს ჩვენს სოფლებში მრავალი ყმაწვილი თავად-აზნაური. ესენი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ძალით, ღონით, ჭკუით, კარგი გარეგნობით, მაგრამ ცხოვრებამ მათი ბედი ისე მოაწყო, რომ ამ ძალასა, ღონესა და ჭკუას ქეიფსა და ჩხუბებს ანდომებენ. უძლური, რომელსაც ადამიანი ადვილად დასჩაგრავს, არა მოქეიფე, რომელსაც არ შეუძლიან სუფრაზე არც ერთს სადღეგრძელოს არ ჩამორჩეს და შემდეგ ღვინო კარგად აიტანოს, რაც გინდა ჭკვიანი, განათლებული იყოს იგი, ყმაწვილებ შორის იწვევს სიცილს, დაცინვას და უპატივცემულობას. სამაგიეროდ ის, რომელსაც, შეუძლიან სამი დღის განმავლობაში არ დაიძინოს, დღე და ღამ შეუსვენებლად ღვინო სვას და ამასთან არც სახეზე, არც სხეულზე არაფერი შეეტყოს, დიდს პატივცემაშია, ყველა მას ეკრობა, ყველას უნდა იგი მეგობრად გაიხადოს.

— ხარივით სვამს და არაფერი ეტყობა!—ამბობენ ყმაწვილები ამ შემთხვევაში და შურით შესცქერიან ამგვარს „გმირს“.

მათ აქვთ თავისი პატარა მამული, აქვთ შემუშავებული თავისებური შეხედულება ცხოვრებაზე, თავისებური პრინციპები, მისწრაფებანი, სცნობენ და უყვართ მხოლოდ ერთმანეთი და ყველა მათგანი ცხოვრების უკმაყოფილოა, ბედის მომჩივარი და მუდამ რაღაცას მომლოდნელი.

არც ერთს მათგანს მამულის შემოსავალი არ ჰყოფნის, არ ჰყოფნის ოჯახშიაც კი, არამც თუ გარედ მისვლა-მოსვლასა და ქეიფში. ამიტომ ერთ თვეს რომ მუშაობენ ან ოჯახში, ან ტყეში, ან მინდორში, ერთს თვეს ქეიფში ატარებენ. მუშაობითაც იმიტომ მუშაობენ და გაჭირებას იმიტომ იტანენ, რომ შეძლება მიეცეთ, თავისუფლად, ამაყად დუქანში შევიდნენ, ამხანაგები დაპატიჟონ და დროება ისე გაატარონ, რომ მეორე დღეს, როგორც ამფსონები, ისე მეზურნეები, მედუქნეები, მეეტლეები სიამოვნებით იგონებდნენ ქეიფის დღეს და ყველა კმაყოფილი იყოს. —ძალიან ვიქეიფეთ,—ამბობენ ამ შემთხვევაში და ამ სიტყვებს მოჰყვება ყოველი წვრილმანი შემთხვევის მოგონება: სიმთვრალის დროს, ვინ რა სთქვა, ვინ რა ჩაიდინა, ვინ ვინ გალახა, ვინ რა იოხუნჯა, მერე სად წავიდნენ, ვინ ნახეს, სად რამდენი დახარჯეს და ბოლოს როგორ დაიძინეს. ამგვარი ლაპარაკია მათ შორის, სანამ ქეიფს მეორედ არ ჩაუჯდებიან და ახალი შთაბეჭდილებანი ძველებს არ დაფარავს.

ამხანაგები ირაკლის დიდის პატივისცემით ექცეოდნენ, მასთან ქეიფი სასახელო იყო, რადგან სუფრაზე მხიარულიც იყო, კარგადაც სვამდა და ჩხუბში, გაჭირვების დროს, ამხანაგების სიტყვით სწორედ „ცეცხლი იყო“.

ეს არის ცოტა ჭირვეული იყო, მეტადრე როდესაც სუფრაზე ქალებიც იყვნენ. მე ამას შემდეგი გარემოებით ვხსნი. ირაკლის არშიყობა მეტად უყვარდა, ამ სურვილს თითქმის ყველა სურვილებს აჯობინებდა, მაგრამ სადმე წვეულებაში, ან დღეობაზე, სანამ სადილად, ან ვახშმად დასხდებოდნენ, ამხანაგებს ეკვროდა, არ შორდებოდა და მხოლოდ შეყვარებულის თვალით შეჰყურებდა ერთი კუთხიდან მეორეში წვრილად მოსიარულე ყმაწვილს ქალებს. ირაკლი ელოდა ხოლმე იმ დროს, როდესაც სუფრაზე დაჯდებოდა და ღვინით შეზარხოშებული ლაპარაკს დაიწყებდა და გულისნადებს ქალს თამამად გაუზიარებდა, მაგრამ საუბედუროდ ამისთვის ძალიან ცოტა დრო ურჩებოდა. ერთი საათის შემდეგ სუფრაზე ყანწები ჩამოივლიდა ხოლმე და ორი, სამი ყანწის შემდეგ ირაკლის თავი აღარ ჰქონდა, ქალი აღარ უგდებდა ყურს მის ლაპარაკს და შეზარხოშებული ჯავრობდა, გული უბოროტდებოდა. იმ დროს სურდა, რაიმე საგმირო საქმე ჩაედინა, რომ ქალის ყურადღება მიექცია და უკვე მზად იყო, ან ვისმეს წასჩხუბებოდა, ან თავის თავი ხანჯლით დაეჭრა.

ხანდახან შეჯდებოდა ცხენზე და თავის თავს ისეთ განსაცდელში აგდებდა, რომ ქალები წივილ-კივილს ასტეხდნენ და ხვეწნით, ალერსით, ტკბილის სიტყვებით ოთახში შეიყვანდნენ და ტახტზე დასვამდნენ. ირაკლი ამით სრულიად კმაყოფილდებოდა და იქვე ტკბილად მიიძინებდა ხოლმე.

გამახსენდა ყველა ეს, გამახსენდა მისი თავმოყვარეობა, გულის მოსვლა და სიცილით ვუთხარი:

— ახლა, მგზავრმა რომ ჩხუბი დაგიწყოს, ან შემოგაგინოს, მაშინ რას იზამ, როგორ მოიქცევი?

— რად უნდა დამიწყოს ჩხუბი?!—მიპასუხა იმგვარად, რომ შევატყე, ირაკლი ბევრჯერ ჩაუფიქრებია ამ გარემოებას.—სადაც მეტყვის, წავიყვან, რასაც მომცემს, ხელს მოვკიდებ დარაზედ უნდა წამეჩხუბოს?

— ამას წინად ქალაქის ბიჭები ჩამისხდნენ არღნით მთვრალები, ხუთი კაცი იყო, ერთი ზედ ზურგზე მაჯდა, მაგრამ ხმა არ გავეცი, მთელი საღამო დავაქროლებდი ქალაქში და ფულიც არ მომცეს. მაშ რა ვქნა კაცო!

ამ სიტყვებს ხშირად ხმარობდა, თითქოს ამითი გულს იქარვებდა და თავს არწმუნებდა, რომ მეტი გზა აღარა ჰქონდა.

— სოფელში ხეირი აღარ არის—განაგრძო ირაკლიმ ან მოგკლავენ, ან უნდა მოჰკლა, ან და სიმშილით უნდა მოჰკვდე, ან აქამდისინ კი რა იყო? წვალების მეტი არა გამოდიოდა რა. საცოდავ გლეხს ლუკმას ართმევდი, მშიერს სტოვებდი და არც შენ ძღებოდი. გადავსწყვიტე სოფელს მოვშორებოდი, ვიყიდე ეტლი და ერთ ლუკმა პურს მეც ვჭამ, მაშ რა ვქნა? სწავლა მე არა მაქვს, რო გუბერნატორად დამაყენონ, ქურდობა, შულერობა მე ვერ გავსწიე, ისევ ეს ხელობა ვარჩიე. რა ვუყოთ, რომ თავადიშვილი თვის დამამცირებელია, ვინც ხელს გამამიწოდებს სიხარულით ჩამოვართმევ, ვინც არა და, საჭირო არ არის. ამას წინად—ამ სიტყვებზე ირაკლის სახეზე სიამოვნებამ გადაურბინა—ჩვენი კოტე ქუჩაში შემხვდა, დამინახა, გამოიქანა, ზედ შემომიხტა და გადამკოცნა! ეჰ, რი ვქნა!—ამოიოხრა ბოლოს ირაკლიმ—აგერ ყ., ჩემზე ნაკლები გვარიშვილი არ არის, „იკალოდოჩნიკად“ შევიდა! რომელი სჯობია? მე ბრძანებელი მაინც არავინა მყავს!

ჩვენმა მეგობრულმა ბაასმა რამდენიმე უსაქმური ადამიანის ყურადღება მიიქცია.

— ჯერ „სიფთა“ ხომ არ აგიღია? — ვკითხე ირაკლის და გავიცინე.

— არ ამიღია—გაიცინა იმანაც—ეს არის ახლა გამოველი.

— მაშ წამიყვანე!—ეტლში ჩავჯექ და ვითომ და ბრძანებლობის კილოთი ვუთხარი:

— Пшолъ!

ვცდილობდი ყველაფერი ხუმრობით გადამექცია, თუმცა სრულიადაც არ მეხუმრებოდა. ვიჯექ ეტლში და უსიამოვნო გრძნობა მიღრნიდა გულს, გარემოებას ვერ შევრიგებოდი. უხერხულად ვგრძნობდი თავს და მოუთმენლად ველოდი, ადგილზე როდის მიმიყვანდა.

— ასეთია ცხოვრება—ვფიქრობდი ჩემს გულში—ერთი რომ მოიგებს, მეორემ უსათუოდ უნდა წააგოს!

ირაკლი კი მიმაქანებდა ქუჩაში და რიხიანის ხმით „ხაბარდას“ გაიძახოდა.

სვ. ყიფიანი.

---

*) ვბეჭდავთ დიდად პატივცემულ ავტორის წერილს და, თუმცა მის აზრს საერთოდ ეკლესიის შესახებ არ ვეთანხმებით, მაგრამ მომხრე ვართ იმისი, რომ პრინციპი სარწმუნოებრივ თავისუფლებისა ეკლესიის ორგანიზაციის საქმეშიაც უნდა იქმნას განხორციელებული და ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი ეკლესია ისე მოაწყოს, როგორცა სურს.

ქვეშ ჩაუვარდით, შეევედრეთ, რომ თავის სასიკეთოდ მიიღოს ხალხის დეპუტაცია! თქვენს სახელს მადლობით მოიხსენიებს ისტორია!

მურავიოვს სახე ეცვლებოდა, ხან გაფითრდა, ხან გაწითლდა, მერე უცბად გამომიწოდა ხელი და გამომეშვიდობა.

— „ჩემს მოვალეობას აღვასრულებო"!

კიბეზედ რომ ჩამოვდიოდი, გულზე მიჩქმიტა: რომ წავიდეს მეფესთან, შეევედროს და პასუხად მიიღოს „დახვრიტეთ ყველანი"!.. ამ ფიქრით შეშფოთებულმა ტელეფონით მინისტრ კოკოვცევს გამოველაპარაკე. მოვუყევ საქმის ვითარება, მაგრამ არ დამათავებინეს, გამაწყვეტინეს... მაშინვე ვიგრძენ, რომ არეულობა აუცილებელი იყო. გავეშურე მუშათა უბნებში, რამდენიმე პარი კოლპინოში გავუგზავნე და მუშებს ვაფრთხილებდი. 8 იანვარს, საღამოთი ერთს კრებაზე რევოლუციონერთა და სოც.-დემოკრატთა წარმომადგენელნი შემხვდნენ.

— კვირას მივდივართ, როგორც უკვე გადაწყვეტილი გვქონდა, — გავუზიარე მე, — ბოლოს თქვენს დროშებს ნუ გაშლით, რომ აქ პროცესიას რევოლუციონური ელფერი არ მიეცეს. მე ორი ბაირაღი მექნება: თეთრი და წითელი. როდესაც საზამთრო სასახლესთან მივალთ, თუ დეპუტაციას მიიღებენ, — თეთრს ბაირაღს გავშლი, თუ უარს გვეტყვიან, — წითელს... მაგრამ [illegible] და არამც იმედს არ მექნოთ. დღე, სიმშვიდობიანად დაბრუნდეს იგი ცარსკოე სელოში.

რევოლუციონერებმა პირობა მომცეს, რომ ჩემს სიტყვას არ გადასცდებოდნენ. რომელსამე ალაგას მათი წარმომადგენელნი სიტყვებს ამბობდნენ მუშების მიმართ, მაგრამ მუშები მათ არაფერს [illegible]. [illegible] სოციალისტური პარტიები. იმ საღამოთივე მე და კ—მა მაქსიმე გორკი ვნახეთ და დახმარება ვთხოვეთ, რომ თავიდან აგვეცილებინა სისხლის ღვრა. კ და გორკი სვიატოპოლკ მირსკისთან და ვიტტესთან წავიდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. მუშები 18 ათასამდე ერთად [illegible] და ჩემთან ერთად [illegible] „სწორია და უკანასკნელი გამოცდილებაო". ლაქია, რომელიც გვემსახურებოდა, მომიახლოვდა და წაიჩურჩულა: „ვიცით, რომ თქვენ ხვალ საწყალ ხალხის გულისათვის მეფესთან მიხვალთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე"!

ღამე მეოთხე რაიონის უბანში გავათიე. ჩემი მფარველი ანგელოზი და მცველი — [illegible] — მუდამ თან მდევდა. მაღალ-მაღალი [illegible], გრძელ წვერა — გოლიათსა ჰგავდა, — „[illegible] ადგილის" მოჰკლეს იგი ჩემს გვერდით.

დილით, 9 იანვარს, იმ სასტუმროში, სადაც ვსადილობდით, შემოიჭრა ერთი მუშა, რომელსაც [illegible] უყურებდნენ ამხანაგები, [illegible] თუ არა, წამოიძახა:

— ააა, მამა გაპონი აქა ბრძანდება! და თავის [illegible] გაგვიქცა ხელიდან.

ძლივ თავს დავაღწიე [illegible] ფულონის [illegible]. ფულონი ტელეფონით ითხოვდა სამუშაოდ, მაგრამ დროს დაკარგვა აღარ იქნებოდა. 10 საათზე აუარებელი ხალხი იკრიბებოდა. ყველა ფეხზე იყო და სადღესასწაულოთ წესიერ[illegible] სასახლისაკენ [illegible] სურათით. პოლიცია დიდად [illegible]. ფეხქვეშ ახალ თოვლში [illegible]. მაღალ-მაღალ [illegible] მუშები და [illegible], ხატები [illegible], რომ [illegible] სამოსლად გამოწყობილ [illegible] აუვსიათ, თეთრი [illegible] ფეხზე დაუქნებიათ.

სასახლის წინ მოედანზე ჯარი იყო დაბანაკებული. ტროიცკის ხიდი დონის კაზაკებს დაეჭირათ. [illegible] ოფიცრებით და [illegible]. თვით [illegible], [illegible], [illegible] ხალხს ჰქონდათ, [illegible] ყლიან და არა [illegible] გავ[illegible]. ყველა [illegible] სადღესასწაულოდ, რომ [illegible] თავის [illegible] ვლადიმირის [illegible], ბოლოს ოფიციალურ გამოკვეთილი [illegible] ს. ვასილიჩიკოვი [illegible]. ჩვენ წყნარად წინ მივდიოდით. სუსხიანი დილა იყო, მაგრამ ყველანი თავმომშველნი მიდიოდნენ.

— სალდათების წრე გავარღვიოთ, თუ გვერდი ავუხვიოთ და იქით მოვუაროთ? — მეკითხებოდნენ.

— არა, — დინჯად ვუპასუხე, — პირდაპირ გასწით! მხნედ იყავით! სიკვდილი ან თავისუფლება!

140 ათასი ქალი თუ კაცი მტკიცედ მივისწრაფოდით სასახლისაკენ. ნარვის ზასტავას, დავუახლოვდით, ჯარი 200 ნაბიჯზე იყო. ცხენოსანმა ჯარმა გზა გადაგვიჭრა, ამოღებული ხმლები ჰაერში ჰრიალებდნენ. ანაზდეულად ელვასავით, ხმალ გაწვდილი ცხენოსანი კაზაკთა რაზმი ჩვენსკენ გამოენართა. ხალხმა გზა მისცა, გაიფანტა, ყველაფერი აირია, დედაკაცები და ბავშვები თოვლში ცვიოდნენ, სისხლით შეიღება მოედანი. ჩვენ მაინც წინ მივდიოდით, სასახლის წინ მოედანზე მდგარ ჯარს 50 ნაბიჯზე დავუახლოვდით. ხალხი ლოცვებს გალობდა.

— ესროლეთ! — გაისმა უცბად მკაცრი ხმა და ათასმა თოფმა დაიგრიალა, ხალხი ჰერხვით გაიშალა მოედანზე. ცნობიერება შემრჩა და გავსძახე ხალხს:

— დაწექით!..

მთელი ეს ხალხი მიწაზე განერთხო. ტყვის სეტყვა წამოვიდა, არე მარე ირყეოდა... ჩვენ ისევ პირქვე ვეყარეთ დამხობილი, კვნესა და წივილ-კივილი ირეოდა თოფის ხმასთან. ბოლოს სროლა შესწყდა. წამოვიწიე.

— ადექით ახლა! გადავხედე ხალხს და ადგილზე გავშრი, გავქვავდი, ჩემს გარშემო აღარავინ არ ინძრეოდა... ოო, საშინელი, საზარელი სურათი დამიდგა თვალწინ! ჩემს ფერხთით ვასილიევი მოკლული ეგდო, დროშები თოვლში ჩაფლულიყო და მედროშეთა სისხლით იყო შეღებილი... გამშრალი ვიდექ და გავყურებდი ჯოჯოხეთის სურათს.. გონება მერყეოდა. უცებ ვიღაცამ მტაცა ხელი, იქვე გვერდზე ვიწრო ქუჩაში გამიტაცა, იქ რამდენიმე სხვანიც იყვნენ, თმა შემკრიჭეს, ანაფორა გამხადეს, ერთი სისხლით გასვრილი სერთუკი ჩამაცვეს და წამიყვანეს, — არ ვიცი, სად. ეს სულ ორ წუთში მოხდა... ჩემი მხსნელი ნაცნობ ინჟენერი გამოდგა. სახლში მიმიყვანა. გამომცვალეს ტანისამოსი, შემკრიჭეს წვერებიც... უცბად ელდამ ამიტანა, გამახსენდა, რომ იქ ქუჩაში სისხლი იღვრება, სისხლი უბრალო ხალხისა, — „მეც იქ უნდა ვიყო, მეც იქ უნდა მოვკვდე" გადავსწყვიტე მაგრამ მასპინძელმა არ გამიშვა.

მაინც გამოველ ქუჩაში მასპინძელიც თან გამომყვა, ყველგან სისხლის მორევი იდგა, ყოველმხრიდან დაკოდილთა კვნესა მოისმოდა. „თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების" დარბაზისკენ გავსწიეთ. აღელვებული ხალხი იყო. ორატორი ორატორსა სცვლიდა, ყველას ეტყობოდა, ხედავდნენ მთავრობის ამ სიმდაბლეს, ამ [illegible]. გული ამიდუღდა, სიტყვის თქმა მომწყურდა. ჩემი მასპინძელი შედგა მაღლა და გამოაცხადა: „მამა გაპონისაგან გამოგზავნილი კაცია აქ და სიტყვის თქმასა თხოულობს" — მაღლა შევდექ და რამდენიმე სიტყვა ვსთქვი. „პოლიცია" დაიყვირეს და ისევ აირია ყველაფერი. ერთმა [illegible] ხელი მტაცა, ელვის სისწრაფით გამიყვანა ხალხიდან და სახლში მიმიყვანა. იქ ორი პროკლამაცია დავსწერე: ერთი — მუშებთან მეორე — ჯართან.

მას მერე მალე გამომისტუმრეს საზღვარ გარეთ...

რუსეთში

იარაღს ისხამენ. მთელ რუსეთში დიდი ფაციფუცია: იარაღს ისხამენ და რეაქციის დასახვედროდ ემზადებიან. პეტერბურგისა და მოსკოვის იარაღის მაღაზიები ორიოდე დღეში დაიცალა. აუარებელი იარაღი ჰქონდათ, ახლა კი მარტო ძველი „სმიტი" და „ბულდოგები" დარჩათ. მაუზერისა, ნაგანისა და ბრაუნინგის რევოლვერები დაიყიდა.

ქალაქელებიც ემზადებიან. პეტერბურგმა, მოსკოვმა და სხვა ქალაქებმაც მილიციების დაარსება გადასწყვიტეს.

არც სტუდენტები იწევენ უკან. პეტერბურგში ქალაქის საბჭოში სატეხნოლოგიო ინსტიტუტის და უნივერსიტეტის წარმომადგენელნი მივიდნენ და გამოაცხადეს: სტუდენტები იარაღს ვისხამთ და დაგვეხმარეთო.

არხანგელსკში კარგა ბლომა ფული შეუკრებიათ მოკლულ პროფესორის გოლდშტეინისთვის გვირგვინის სასყიდლად, მაგრამ მერე მოუფიქრებიათ და შეგროვილი ფული პეტერბურგში რევოლუციონერებისთვის გაუგზავნიათ და მიუწერიათ, ამ ფულით იარაღი იყიდეთო.

ყველანი ემზადებიან. პეტერბურგის სტუდენტებმა საომარი რაზმები შეადგინეს და ქალაქში ჩააყენეს. ეს რაზმები ქუჩა-ქუჩა დადიან და, თუ სადმე გაიხდება ხულიგანთა [illegible], იარაღით წინააღმდეგობას გაუწევენ. ასეთივე ამბები ხდება მთელ რუსეთში. ხალხი მიხვდა, რომ ცარიელა სიტყვით ვერას გახდება და ახლა იარაღით აპირობს უკვე მოპოვებულ უფლებების დაცვასა და ახალ უფლებების მოპოვებას.

◆ **ძველი მებრძოლნი.** 28 ოქტომბერს რუსეთის ბასტილიიდან — შლისელბურგის ციხიდან პეტროპავლეს ციხეში გადაიყვანეს შემდეგი პატიმრები: განთქმული რევოლუციონერი გერმან ლოპატინი, რომელიც 19 წელს იჯდა ამ ციხეში, ფროლენკო (24 წელს იჯდა), ლუკაშევიჩი, ანტონოვი, მოროზოვი, სურგუჩევი, ნოვორუსკი და პოპოვი. იმავე დღეს ახლად გადმოყვანილების ნათესავები და ნაცნობები მივიდნენ. იქვე კომენდანტიც იყო. ნათესავებს არაფრის გადაცემა არ შეეძლოთ. ერთ ქალს ფროლენკოსთვის თაიგულის გადაცემა უნდოდა, მაგრამ ამის ნება არ მისცეს. მეორე მხოლოდ ერთ ფოთლის გადაცემის ნებას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ. პატიმრები დაჭკნარებულან და ავადმყოფობენ. თუ რა ხდებოდა უკანასკნელ წლებში — პატიმრებს არ სცოდნიათ. ძნელი წარმოსადგენია მათი მდგომარეობა.

ახლა ვიკითხოთ, რაღა უნდა მათი ისედაც გამწარებული სიცოცხლე მთავრობას? განა არ ეყოთ 20 წლის ტანჯვა და წამება? მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობას კიდევ ეშინიან, ვაი თუ 60—80 წლის ლოპატინმა და ფროლენკომ რევოლუცია მოახდინონო.

ახალი პარტია. ახლად შემდგარი კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია (შესდგა ორ პარტიისაგან: „ოსვობოჟდენიეს" კავშირისა და საერობო და საქალაქო მოღვაწეთაგან) ნოემბრის დამლევიდან გამოსცემს პარტიულ ორგანოს „ოსვობოჟდენიეს" წინანდელ რედაქტორის პ. სტრუვეს და ცნობილ ისტორიკოსის მილიუკოვის რედაქტორობით.

ჯაშუშს ეძებენ. პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში გამოკიდულია ახალგაზრდა კაცის ფოტოგრაფიული სურათი შემდეგის წარწერით: „სოციალ-დემოკრატიულ" პარტიის პეტერბურგის ჯგუფი ყველას ატყობინებს, რომ ივანე ვასილის ძე დობროსკაკოვი (ფსევდონიმი „ნიკოლაი") „პროვოკატორია". ამას წინად აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი დობროსკაკოვი მოსკოვში ხალხის წინაშე ლაპარაკობდა და ირწმუნებოდა, რომ აფიცრები და ჯარი რევოლუციონერების მხარეზე არიანო. პეტერბურგში ამ პროვოკატორმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეჰყო თავი და მერე გასცა: სტამბები აღმოაჩინა და აუარებელი ხალხი დააჭერინა, რასაც ის მოჰყვა, რომ პარტიის ჯგუფი პეტერბურგში ძალიან შესუსტდა, რადგან ყველა მოთავე ერთ დღეს დაიჭირეს.

◆ **ვარშავის ამბები.** 18 და 19 ოქტომბერს ვარშავაში მშვიდობიანობა იყო. აუარებელი ხალხი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და მარსელიეზასა და ეროვნულ ჰიმნს — „ღმერთო, დაუბრუნე თავისუფლება ჩვენ მხარეს" — მღეროდა. სოციალისტები მღეროდნენ პოლონურ სიმღერას „ჩვენი სისხლი ჯალათებმა დაღვარეს". 19 ოქტომბერს ორი პარტია სოციალისტებისა და ნაციონალისტებისა ერთმანეთს შეხვდნენ, საერთო მიტინგი გამართეს და მერე თავ-თავიანთ გზას გაუდგნენ. 20 ოქტომბერს სისხლი დაიღვარა. სროლის ბრძანება გასცა ერთმა ბოქაულმა, რომელიც ხალხმა დაიჭირა, შეჰკრა და პოლიციაში წაიყვანა. ამას მოჰყვა ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ჯარის მხრით უმიზეზო სროლა. კაზაკები ხმლებით სჩეხდნენ ხალხს, სალდათები ტყვიით ხვრეტდნენ. აქაც ისეთივე ამბები მოხდა, როგორც სხვა ქალაქებში. დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი ოთხას კაცს აღემატება.

◆ **ბარიკადების გაკეთება.** 12 ოქტომბერს ეკატერინოსლავში მუშებსა და ჯარს დიდი შეტაკება მოუხდათ. მუშებმა ერთ ქუჩაზე რამდენიმე ბარიკადა გააკეთეს, წინ თხრილები გაუკეთეს, მავთულები გაუბეს და საბრძოლველად მოემზადნენ. სალდათებმა ჯერ თოფები დაუშინეს და მერე იერიში მიიტანეს, მაგრამ მუშებმა იერიშს გაუძლეს და ჯარი უკუ აქციეს. ჯარმა მეორედ მიიტანა იერიში, მაგრამ მუშებმა სახლებიდან ყუმბარები დაუშინეს და გააქციეს. ბოლოს მაინც ჯარმა სძლია და ბარიკადა აიღო. ჯარის მხრით დაიჭრა და მოკლულ იქმნა 40 კაცი, მუშების მხრივ მეტია.

◆ სრულიად რუსეთის რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირმა 30 ოქტომბერს გაზეთებში გამოაცხადა, რომ კავშირი ჯერ-ჯერობით **გაფიცვას არ აპირობს.** მეორე დღეს კი პეტერბურგში საერთო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს.

წერილი რედაქციის მიმართ

I.

ბ-ნო რედაქტორო! ოთხშაბათს, 2 ნოემბერს, მე და ჩემმა ამხანაგმა არტარი-კოლუმბომ ვნახეთ ვორონცოვის ძეგლთან ერთი ყმაწვილი ქალი, რომელსაც წითელი ლენტი ეჭირა ხელში და უგზო-უკვლოდ დაიარებოდა. საცოდავი, ეტყობოდა, ჭკუაზე შეშლილი იყო, ხალხი შემოხვეოდა და დასცინოდა. გვინდოდა საბრალოსათვის დახმარება აღმოგვეჩინა, რომ ეტლებს მაინც არ გაეტანათ, მაგრამ ვისაც კი მივმართეთ, ყურადღება არავინ მოგვაქცია. მე და ჩემი ამხანაგი გავეშურეთ მიხეილის სავადმყოფოში და უფროსს ექიმს — გუკოვს ვსთხოვეთ, საცოდავი ქალი სავადმყოფოში მიეღო. ექიმი დაგვთანხმდა და ქალის საძებნელად გამოგვიგზავნა; ისევ იმ ალაგას შევხვდით, ეტლში ჩავისვით და სავადმყოფოში მივიყვანეთ, მაგრამ ქალის ვინაობა ვერ შევიტყეთ, რადგან მეტად არეულად ლაპარაკობს. ამიტომ აქვე მოგყავს ამ ქალის ნიშნები და, ვისაც მისი ცნობა აქვს, ვთხოვ ვინაობა აცნობოს არტარი-კოლუმბოს გაზეთ „ვოზროჟდენიეს" რედაქციაში.

ქალის ნიშნები შემდეგია: წვრილი ტანისაა, 15—16 წლისა იქნება, თმა მოკლე და წაბლის ფერი აქვს, სახე პატარა, ხელზე გაჭრილი ნიშანი ეტყობა, ხშირად ახსენებს გვარს „რაგოვსკიო".

ამ ქალის ჭკუაზე შეშლის მიზეზად შემდეგ გარემოებას ასახელებენ: 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე მოუკლავთ ერთი გიმნაზიელი, რომელიც ამ ქალის სატრფო ყოფილა და ჭკუაზე იმიტომ შეიშალაო.

ა. ლანდი.

II

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ „ივერიაში" შემდეგ განცხადებას: „ივერიის" № 170-ში (ახალ ამბებში) ჩემს შესახებ მოხსენებულ ცნობის გამო გამეორებით ვაცხადებ სურვილს მღვდლობიდან გადადგომისას. ჩემი [illegible] გადაწყვეტილება, რომ ამ წოდებას გამოვეთხოვო. ამიტომ უწ. სინოდის დადგენილების პასუხად დაუყოვნებლივ ვაცხადებ, რომ ხსენებულ გადაწყვეტილების შესაცვლელად არავითარ ზეგავლენას ჩემზე გავლენა არ ექნება და მხოლოდ მოვითხოვ ჩემი მღვდლობიდან გადაყენების საქმე სისრულეში მოყვანილ იქმნეს.

ჟენევის უნივერსიტ. სტუდენტი
სერაფიონ დადუნაშვილი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

4 ნოემბერი.

პეტერბურგი, 3. პეტერბურგის ქარხნების მუშათა მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებზე 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ 72 მექანიკურ და მეტალურგიულ ქარხნების წარმომადგენლებმა შემდეგი პასუხი მისცეს: „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ამგვარ მოთხოვნილებისა და სასარგებლოდ არ ვსთვლით არც მექარხნეებისა და მუშებისთვის სამუშაო დღის შემცირებას, რადგანაც შემოსავალი ძალიან ცოტაა, რუსეთის ქარხნებს გააღარიბებს და მუშებიც უსაქმოდ დარჩებიან. რუსეთში სამუშაო დღე არ აღემატება დასავლეთ-ევროპისას, სადაც მექანიკურ ქარხნებზე, ინგლისის გარდა, მუშაობენ $10\frac{1}{2}$ საათს, ხოლო მეტალურგიულ ქარხნებში ყველგან 12 საათს". ქალაქში სიწყნარეა. გაფიცვებს მიემხრნენ მრავალი აფთიაქების ფარმაცევტებიც; გაზეთები არ გამოსულან. სამ საათზე გაიფიცნენ ნიკოლაევის რკინის გზის მოსამსახურენი, ელექტრონულ სადგურებზე მატროსები მუშაობენ, ხელახლა გაიწვიეს პეტერბურგის მიდამოებიდან კავალერიის რაზმები.

მოსკოვი, 3. მოსკოვის რკინის გზაზე სიწყნარეა, ყველა გზებზე ნორმალურად მუშაობენ, დაბალ ხარისხის მოსამსახურენი მუშაობის სურვილს გამოსთქვამენ. პეტერბურგელ მუშების მოწოდებას ყურს არ უგდებენ.

ვარშავა, 3. ვარშავა-კიევ-ოდესსა-მოსკოვის რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. მაღაზიები, კანტორები და ბანკები მატარებლების მიმოსვლის დაწყებისთანავე გახსნეს.

ნიჟნი ნოვგოროდი, 3. ბირჟის საზოგადოება ზომიერ [illegible] პარტიას ადგენს; მიზნად აქვს, განახორციელოს მანიფესტის მიერ მონიშნული რეფორმები. პეტერბურგში პოლიტიკურ გაფიცვების დაწყებამ აქ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

პოლტავა, 3. აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა იყო მხოლოდ პერიასლავის და ხოროლის მაზრებში.

სარატოვი, 3. ქალაქს და სარატოვის, ატკარსის, ბალაშევის, პეტროვსკის და სერდობის მაზრებში გამოცხადებულია გაძლიერებულ დაცვის წესები.

მოსკოვი, 3. დღეს გაიხსნა კონსერვატორია. მოწაფეთ ნება მიეცათ გამართონ ხოლმე მიტინგები გარეშე ხალხის დაუსწრებლად. გრადონაჩალნიკმა ქალაქის გამგეობას მოსთხოვა, სამი დღის წინად მაცნობეთ, სად მოხდება მიტინგი და მიტინგის გამგედ ვინ იქმნებაო. გარდაიცვალა გამოჩენილი სწავლული ფიზიოლოგი სეჩენოვი.

ვარშავა, 3. გერმანიის კონსულმა „ვარშავის კურიერს" გამოუგზავნა განცხადება: სხვადასხვა გაზეთებში მოყვანილი ცნობა, ვითომ გერმანიას აზრად აქვს პოლონეთში ჯარი გაგზავნოს და აგრეთვე ის ხმები, ვითომ პოლონეთის საკითხის შესახებ გერმანიის მთავრობამ რაიმე გავლენა იქონია რუსეთის მთავრობაზე, სიცრუეაო.

სიმფეროპოლი, 3. ბოქაულის თანაშემწე ერმოლენკო, რომელმაც ქალაქში მომხდარ დარბევის დროს ხალხს რევოლვერების სროლა დაუწყო, გუბერნატორმა სამსახურიდან გადააყენა.

რეველი, 3. გადაიწვა [illegible] ქარხანა სიმონოვებისა; ზარალი 30000 მანეთამდეა; შენობა დაზღვეული არ იყო.

ყაზანი, 3. ცივილის მაზრაში აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა დაიწყო. გაგზავნეს ერთი როტა ჯარის კაცი.

მინსკი, 3. ბობრუისკის მაზრაში დაიწყო მოძრაობა აგრარულ ნიადაგზე.

ვლადივოსტოკი, 3. რამდენიმე ადგილას სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. მთვრალი ხულიგნები დადიან ქუჩებში და სხვადასხვა გვარ უწესობებს ახდენენ. გენერალ-ადიუტანტმა ლინევიჩმა მისწერა კომენდანტს ყაზბეგს, უწესობის მოსასპობლად ენერგიული ზომები მიიღეთო.

ვარშავა, 3. ვარშავაში გაფიცვის გამო გაჭირვებულთ, ქალაქის მცხოვრებლების გარდა, გლეხებიც დახმარებას უწევენ. ტრამვაის მოსამსახურენი მუშაობას ჯერაც არ დაბრუნებიან. დღეს ყველა ბანკები გაიხსნა. ქარხნებშიაც ამ დღეებში დაიწყება მუშაობა.

მოსკოვი, 3. კურსკისა და ბრიანსკის რკინის გზებზე მღელვარება დაიწყო. გაგზავნეს თითო როტა ჯარის კაცი.

კოვნა, 4. გაფიცვები გათავდა. დარბევის შიში აღარ არის. ქარხნები მუშაობენ.

პეტერბურგი. „ვედომოსტი გრადონაჩალსტვა"-ს რედაქცია იწვევს თანამშრომლებს ყველა გაზეთებისას, როგორც რუსისა, ისე საზღვარ-გარეთისას, მოვიდნენ ხოლმე რედაქციაში და თავისი წერილები და ცნობები პეტერბურგის მიმდინარე ცხოვრების შემთხვევების შესახებ შეადარონ ოფიციალურ ცნობებს.

ტამბოვი, 4. 2 ნოემბერს ბალაშოვის მაზრაში შეიპყრეს ოთხი აგიტატორი, რომლებიც დადიოდნენ სოფლებში და გლეხებს აჯანყებდნენ. მათ შორის ერთი უცნობი კაცია, რომელიც თავის თავს გენერლად ასაღებს, დადის მუნდირით, ორდენებით, ლენტით და გლეხებს უქადაგებს.

უფა, 3. ქალაქის საბჭომ დაადგინა ცხენოსან პოლიციელთა რაზმის გასაძლიერებლად ფული გადადოს.

ვარშავა, 4. ვარშავში აკრძალულია ცალკე ნომრობით გაყიდვა პოლონურ და ებრაულ ყველა გაზეთებისა. ქალაქში ცხოვრება თავის კალაპოტში დგება.

დონის-როსტოვი, 4. როსტოვის ოლქში რამდენიმე შეტაკება მოხდა გლეხებსა და მემამულეებს შორის.

ლოძი, 4 გაფიცვებს ბოლო ეღება. დღეს მატარებლის მიმოსვლა დაიწყო ლოძსა და კალიშს რკინის გზაზე. ზოგიერთ ქარხნებში მუშაობის ერთი ნაწილი მუშაობას შეუდგა. ადგილობრივ მცხოვრებთა მეტი ნაწილი გაფიცვის შეწყვეტის სურვილს გამოსთქვამს.

პეტროკოვი, 4. ვარშავა-ვენის რკინის გზაზე მატარებლების სწორი მიმოსვლა დაიწყო. ფაბრიკებსა და ქარხნებში გაფიცვები გრძელდება.

ბერლინი, 4. გრაფ ვიტტეს მოწოდება მუშების მიმართ, ადგილობრივ პრესსას ძალიან მოსწონს.

სტარობელსკი, 4. საერობო კრებამ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო დაადგინა, ყოველ წლივ დაარსოს სამ-სამი სკოლა, რომელთაც სახელად ნიკოლოზისა უწოდოს. დაადგინეს, გაგზავნონ მოსკოვში საერობო კრებაზე დელეგატი და გლეხთა კრებაზე ორი დელეგატი-გლეხი.

პეტერბურგი, 4. ქალაქში სიწყნარეა. მუშებმა რამდენჯერმე განიზრახეს, მუშაობას შესდგომოდნენ. 3 ნოემბერს გაიფიცნენ ტელეფონის მოსამსახურენი საიმპერატორო ფარფორის და მინის ქარხნებში მუშაობაა. ფინლანდიის და ცარსკოსელსკის რკინის გზებზე მატარებლები დადიან, დანარჩენ გზებზე გაფიცულნი არიან. მოსკოვიდან მატარებლები მოდიან. შესდგა საზოგადო მოღვაწეების კლუბის პირველი კრება. კრებას დაესწრო 600 კაცი. აირჩიეს კრასოვსკი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ. კრებამ დაადგინა მხარი მისცეს მთავრობას მანიფესტის საზღვრებში, დაჰგმოს დღევანდელი გაფიცვა და მიმართოს მუშების მოწოდებით.

რადომი, 4. მეოთხე დღეა მუშები გაფიცულნი არიან. მუშებმა ვაჭრებიც აიძულეს, მაღაზიები დაეკეტნათ, ელექტრონის მაგიერად ქუჩებში ცეცხლი ანთია. მოვიდა კაზაკების ერთი პოლკი.

მოსკოვი, 4. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგზე დაადგინეს, მიზნად გაისახონ მხოლოდ ეკონომიური მხარე. გაგზავნეს პეტერბურგში დეპეშა შუამდგომლობით, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირი ცნობილ იქმნას და შესდგეს სრულიად რუსეთის კრების ორგანიზაცია.

ვარშავა, 4. ყველა გზებზე მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. გენერალ-გუბერნატორმა დახურა გაზეთები „ზაპადნი გოლოს", „პოლსკა გაზეტა" და „ნოვინნა". დანარჩენ გაზეთების ცალკე ნომრობით გაყიდვა აკრძალულია.

ბელოსტოკი, 4. ბელსკის მაზრაში აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა შეწყდა.

ბერლინი, 4 „ფოსსიშე"-ს აზრით, ვისაც კი უნდა რომ რუსეთში არეულობა მოისპოს, ყველამ მხარი უნდა დაუჭიროს ვიტტეს. რუსეთის საზოგადო მოღვაწეთა მოვალეობა იყო, მანიფესტის გამოცხადების შემდეგ, მუშაობაში მონაწილეობა მიეღოთ.

ვლადივოსტოკი, 4. დღეს მოვა აქ როჟესტვენსკი, და 8 ნოემბერს პეტერბურგს გაემგზავრება.

პეტერბურგი, 4. თუ მუშები ორშაბათიდან მუშაობას არ შეუდგნენ, მექარხნეებმა გადასწყვიტეს, მუშებს გაუსწორდნენ და ქარხნები დახურონ.

პეტერბურგი, 4. უმაღლესი მანიფესტი. ვაცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, რომ დიდი მწუხარებით ავსებს ჩვენს გულს ის მღელვარება, რომელიც მოხდა ზოგიერთ დაბებსა და სოფლებს, სადაც გლეხები ძალმომრეობას ხმარობენ კერძო მემამულეთა წინააღმდეგ. არავითარი თვითნებობა და ძალმომრეობა შეწყნარებულ არ იქმნება და ამიტომ ხელმწიფება ყოველგვარი ზომები იქმნეს მიღებული უწესოების მოსასპობად. ჩვენ ვიცით გლეხთა გაჭირვება და მათთვის ვზრუნავთ. ძალმომრეობა მაინც ვერ შეამსუბუქებს გლეხების მდგომარეობას, სამშობლოს კი ბევრს გაჭირვებასა და უბედურებას მიაყენებს. ერთად-ერთი გზა გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის გზა მშვიდობიანი და კანონიერი და ჩვენც პირველ ყოვლისა ჩვენს პირველ საზრუნველ საგნად გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ვსახავთ. ამ უკანასკნელ დროში ჩვენ ვბრძანეთ შეადგინონ და წარმოგვიდგინონ ცნობები იმ საშუალებებზე, რომლითაც მოხერხდება გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ საქმის განხილვის დროს ჩვენ გარდავსწყვიტეთ: 1) ნადელების გამოსასყიდი ფული საბატონო, სახელმწიფო და საუფლისწულო უწინდელ გლეხებისგან 1906 წლის პირველ იანვრისთვის ნახევრად შემცირდეს, ხოლო 1907 წლის პირველ იანვრიდან სრულიად მოისპოს და 2) შეძლება მიეცეს საგლეხო ბანკს დაეხმაროს გლეხებს მიწების შეძენაში და ამ მიზნით გაფართოვდეს ბანკის შეძლება და შემუშავებულ იქმნას უფრო შეღავათიანი ხელსაყრელი პირობები სესხის გასაცემად. ამ საშუალებათა სისრულეში მოსაყვანად ჩვენ განსაკუთრებული ბრძანება გამოვეცით. სრული იმედი გვაქვს, რომ შეთანხმებულ მუშაობით ჩვენისა და რუსეთის საუკეთესო წარმომადგენლებისა, რომელიც ამორჩევაში სხვა ჩვენ ქვეშევრდომთა შორის გლეხებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, ჩვენ შევიძლებთ დავაკმაყოფილოთ გლეხობის სამართლიანი საჭიროება, მასთან არავითარ შეურაცხყოფას არ მივაყენებთ სხვა მიწის მფლობელთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საყვარელი გლეხობა შეასრულებს სიკეთისა და სიყვარულის მცნებას, გაუფრთხილდება ჩვენს მოწოდებას, ყველგან დაიცავს მშვიდობიანობას და არ დაარღვევს სხვის უფლებებს. ბოძებულია პეტერგოფს, ნოემბრის მესამეს დღეს, დაბადებიდან ქრისტესი 1905, მეფობისა ჩვენისასა მეთერთმეტესა. ნამდვილზე მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია „ნიკოლოზ".

ვენა, 3. „ნეიე ფრეიე-პრესსე" ეხება რუსეთის გაფიცვებს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ გაფიცვები ძალიან აფერხებენ მანიფესტში ნაჩვენებ რეფორმათა განხორციელებასო, გაზეთი სურვილს აცხადებს, რომ რუსის რადიკალები მიემხრნენ იმ გონიერ ელემენტებს, რომლებიც ვიტტეს ნდობით ეკიდებიან.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

როიალები, ფისგარმონები.
პიანინო,
გიტარები, გრამმოფონები, ფლეიტები, სიმები,
კლარნეტები და სხ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.
მსურველთ პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ
კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ
Б. М. МИРИМАНІАНЪ.
Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.
(25—6.—9)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5